# სპორტი

№151 (12 221)

29 ივნისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჯაფარიძე და იზაბელა ტობიასი

ფიგურული ციგურაობა

## ქართველი და ამერიკელი ერთად ისრიალებენ

**ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალურად გვამცნობს, რომ 22 ივნისიდან ქართველ ოთარ ჯაფარიძესა და ამერიკელ იზაბელა ტობიასს უფლება ეძლევათ, ყველა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში, გარდა ოლიმპიური თამაშებისა, საქართველოს სახელით იასპარეზონ. ეს ამბავი გუშინ საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, საქართველოში სპორტის ამ სახეობის პიონერმა და ცნობილმა მწვრთნელმა ირაკლი ჯაფარიძემ გვითხრა. ბატონ ირაკლის გუშინვე შევხვდით და ზემოხსენებულ სასიამოვნო ამბავზე დაწვრილებით გამოვკითხეთ...**

- იზაბელა ტობიასის თაობაზე, ჩვენსა და ამერიკულ მხარეს შორის მოლაპარაკება კარგა ხანს მიმდინარეობდა. ცხადია, საერთაშორისო ფედერაციამ ყველაფერი იცოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, ოთარ ჯაფარიძისა და მისი მეწყვილის, მოსკოველი ეკატერინა ზაიკინას ვარჯიში რუსეთში შეუძლებელი გახდა. ამის გამო, წყვილი ერთმანეთს დაშორდა. და სწორედ ამის შემდეგ დავიწყეთ ახალი პარტნიორის ძიება.

**- ძიებამ ამერიკაში ჩაგიყვანათ?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, კი.

**- როგორ?**

- იზაბელა ტობიასს ვიცნობდით, მაგრამ არა საერთაშორისო ტურნირებიდან. ის ოფიციალურ შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, მეწყვილეც არ ჰყავდა. ეს ერთგვარი უპირატესობა იყო ჩვენთვის და მისთვისაც. სხვათა შორის, იზაბელას მშობლებიც შვილისთვის მეწყვილის ძიებაში იყვნენ და სწორედ აქ დაემთხვა ერთმანეთს ჩვენი ინტერესები.

**- თუ დაინტერესება ორმხრივი იყო, მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ როგორ გადაწყდა?**

- მართლაც ძალიან დიდი იყო ზეწოლა, რომ ოთარი გადასულიყო ამერიკაში და არა პირიქით, იზაბელი წამოსულიყო ჩვენთან. ჩვენ არ დავთმეთ. საბოლოოდ შევთანხმდით და საერთაშორისო ფედერაციამაც დაგვიჭირა მხარი. იზაბელის მშობლები დავარწმუნეთ, რომ ოლიმპიადაზე მოხვედრის უკეთესი შანსი წყვილს მხოლოდ საქართველოში ექნებოდა.

**- ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლისთვის რა პრობლემებია გადასაჭრელი?**

- პრობლემა ერთია და უმთავრესი: იზაბელა ტობიასმა საქართველოს მოქალაქეობა უნდა მიიღოს.

**- მუშაობთ ამ საკითხზე?**

- დიახ, უკვე შევთანხმდით სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, რომ აღიძვრება შუამდგომლობა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წინაშე, რათა ხელისუფლებამ განიხილოს იზაბელა ტობიასისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**- 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე გაქვთ ორიენტირი აღებული?**

- დიახ.

**- სად მოემზადება ჯაფარიძე-ტობიასის წყვილი?**

- ძირითადად შეერთებულ შტატებში.

**- ვისარგებლებთ ამ შეხვედრით და ჩვენს სხვა მოციგურავეებზეც დაგეკითხებით. სად არიან ისინი და რისთვის ემზადებიან?**

- ელენე გედევანიშვილი და ბექა შანყულაშვილი ასევე შეერთებულ შტატებში ემზადებიან. წყვილსაც და მათაც წლეულსვე, შემოდგომიდან ელით მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებები, მათ შორის, გრან-პრის ტურნირებიც. ასე რომ, დიდ სარბიელზე უკვე ოთხ ჩვენს სპორტსმენს ვიხილავთ და, რაც მთავარია, ოთხივე 2010 წლის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

**თენგიზ თომაშვილი**

# ადიოს ფაბიოს!

# კაპელო რეალიდან გაადგეს

## შუსტერი სამეფოში მისასვლელად ემზადება

5

## მექსიკამ ბრაზილია ამოაყირავა

COPA AMERICA VENEZUELA 2007



6

BUNDES LIGA

## კობიაშვილი შტუტგარტით იწყებს, იაშვილი ნიურნბერგით

ბუნდესლიგა 2007/2008 სრული კალენდარი

7


LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

www.kazbegi.com

# გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

## პროფლიგის ახალი კაცი

### მომავალი წლიდან ჩემპიონატი 12 გუნდით

PROფესიული ფეხბურთის ლიგას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს - საფეხბურთო სამყაროსთვის კარგად ნაცნობი სახე, ლიგის პრესატაშე **პაატა ბურჯალიანი**.

გადაწყვეტილება ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა:

- ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს, ჩემი აზრით, საუკეთესო გადაწყვეტილებამდე მივედით. გენერალური მდივნის პოსტზე რეზო ლორთქიფანიძეს პაატა ბურჯალიანი შეცვლის. პაატა ლიგაში დაარსებიდანვე მუშაობდა და ყველა პროექტში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ჩვენი ორგანიზაცია წარმატებით რომ მუშაობს, ამაში დიდი წვლილი შეიტანა. პრესატაშედ მუშაობის პერიოდში, თავი გამოიჩინა სხვადასხვა ინიციატივით, საქმის ცოდნით. ის ლიგის ყველა პროექტის აქტიური თანამონაწილე გახლდათ. ეს ყველაფერი გახდა კიდეც გენერალურ მდივნად მისი დანიშვნის წინაპირობა.

პრესკონფერენცია ლიგის გამგეობის სხდომის შემდეგ ჩატარდა, სადაც მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. ლიგის პრეზიდენტმა ამაზეც ისაუბრა:

- გამგეობის სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ. წლეულს უმაღლეს ლიგის გათამაშებას 14 გუნდით დავიწყებთ. ჩამოყალიბებულია კომისია, რომელიც შეაფასებს თითოეული მათგანის მზადყოფნას, ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს...

- ფინანსურ გარანტიებზეა დამოკიდებული, გვეყოლება თუ არა სტაბილური გუნდები. საბოლოოდ კი, როგორ და რა დონეზე ჩატარდება ჩემპიონატი...

- არაა გამორიცხული, წლეულსვე დებულებაში ჩავწეროთ, რომ მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში თორმეტი გუნდი ითამაშებს. ასეთ შემთხვევაში, ლიგიდან სამი გავარდნილი გუნდის ნაცვლად, პირდაპირ მხოლოდ ერთი დაგვემატება, ერთი ადგილის ბედიც გადათამაშებით გადაწყდება...

- შეიცვალა ჭაბუკთა ლიგის ფორმატიც: ამიერიდან, სამის ნაცვლად, ტურნირი ოთხ ასაკში ჩატარდება და მონაწილეობას არა მარტო უმაღლესი ლიგის გუნდები, გამორჩეული საფეხბურთო სკოლებიც მიიღებენ. თითოეული ასაკობრივი ჯგუფი დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად დავყავით.

ტურნირის იდეა გამგეობის წევრებმა მოიწონეს და მას უეფას დააფინანსებს. ამის თაობაზე უეფას ბავშვთა კომიტეტთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და ის ტურნირის ჩასატარებლად თანხას გამოყოფს.

ცვლილებებია დებულებაშიც: ახალი სეზონიდან სათამაშო ფორმის შერჩევის პრიორიტეტი მასპინძელ გუნდს ენიჭება, როგორც ეს უეფას მიერაა განსაზღვრული. სტუმარმა გუნდმა წინასწარ უნდა შეათანხმოს ფორმის ფერები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სტუმრები 3000 ლარით დაჯარიმდებიან.

თამაში უფრო დინამიურად რომ წარიმართოს, საამისოდ მოედნის მიდამოებთან ამიერიდან უნდა იყოს ხუთი ბურთი, ნაცვლად ოთხისა. "ფოლკსვაგენის" სუპერთასის ჩასატარებლად ორი თარიღი შევარჩიეთ - 15 აგვისტო და 5 დეკემბერი. რომელ დღეს გაიმართება შეხვედრა, ეს ევროთასებზე საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის გამოსვლაზეა დამოკიდებული. იმედია, წარმატებით ითამაშებენ და აგვისტოს თარიღი გამოირიცხება.

სუპერთასზე ვერ ითამაშებს ის ფეხბურთელი, რომელიც წინა მატჩში პირდაპირ წითელ ბარათს მიიღებს. თუკი, ორი ყვითლისთვის გააძევებენ, მას თამაშის უფლება მიეცემა...

- ჩვენ, "ლოკომოტივის" პრეზიდენტ ლექსო თოფურიასთან ერთად, მასშტაბურ პროექტს განვიხილავთ. შეიქმნება ჯგუფი რამდენიმე ადამიანისგან, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ყველა მატჩს გადაიღებს. პირდაპირი რეპორტაჟი ტურის ცენტრალური შეხვედრიდან წარიმართება, დანარჩენი მატჩებიდან საინტერესო ეპიზოდებს კი ტურის მიმოხილვაში ვაჩვენებთ.

ტელესააგენტო ითანამშრომლებს ყველა არხთან, ჩვენი ჩემპიონატი რაც შეიძლება პოპულარული რომ გახდეს მოსახლეობაში და მაყურებელი სტადიონზე რომ მივიზიდოთ...

- დაბოლოს, ყველა გუნდი ვალდებულია, ახალი სეზონიდან დაიწყოს ბილეთების გაყიდვა. დროა, ეს კულტურა დაინერგოს და ბილეთებიდან პოლიტიკური შემოსავლები დაფიქსირდეს. ეს უეფას ერთ-ერთი მოთხოვნაა და ის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

**დინამო-შტაინახი 4:1**

1:0 ფეიქრიშვილი (28, კობახიძის პასით), 2:0 ხუციშვილი (30. ფეიქრიშვილის პასით), 3:0 ხუციშვილი (41. შ. კაშიას პასით), 3:1 (45), 4:1 მერებაშვილი (73).

დინამო: **ლორია, შ.კაშია, გ. კაშია, კრშკო, თომაშვილი, ფირცხალავა, ფეიქრიშვილი, დიღმელაშვილი, კობახიძე, ხუციშვილი, სპასოევიჩი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ოვონო, ვუკუე, გველესიანი, ლობჟანიძე, ხმალაძე, მერებაშვილი, ჯანაშია, ოდიკაძე, გონჩაროვი**

გერმანიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. **დუშან უჰრინის** გუნდი ქვედალიგოსან "შტაინახს" დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით 4:1 მოუგო. თამაში დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და ეს შედეგშიც აისახა. **მიხეილ ხუციშვილმა** დუბლი და საგოლე პასი მიითვალა, **ფეიქრიშვილმა** კი ერთი გაიტანა და ერთიც გაატანინა. მატჩის საბოლოო ანგარიში კი **მერებაშვილმა** დააფიქსირა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე ტაიმში უჰრინმა **გურამ კაშიასა** და **კრშკოს** გარდა ყველა შეცვალა. ამ შეხვედრაში სულ 20-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

დინამო. უცხოური შეკრება

## გრიშიკაშვილი დაშავდა

ვარჯიშისას "დინამოს" მეკარე **სოსო გრიშიკაშვილმა** სერიოზული ტრავმა მიიღო. მას მარცხენა ხელზე თითი მოსტყდა და გუშინვე ოპერაცია გაუკეთეს. გრიშიკაშვილი უკეთაა, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია, რა ხნით მოუწევს მას დასვენება.

დაბოლოს, "დინამო" დღეს და ხვალ კვლავ ვარჯიშებით შემოიფარგლება. კვირას, 1 ივლისს კი ასევე ქვედალიგოსან "შლოტჰაიმს" დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპი

## გაბონელი რჩება, აფციაური მიდის?



თორნიკე აფციაური

ქვეყნის ჩემპიონ "ოლიმპის" ნახევარმცველ **თორნიკე აფციაურს** უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება. მას აგენტი **მამუკა ჯუღელი** საკმაოდ საინტერესო გუნდში ჩარიცხვით აიმედებს. ჯერჯერობით, თავად აფციაური ამ თემაზე საუბარს ერიდება და როგორც გვითხრა, კონკრეტულად თავადაც არ იცის, თუ რომელ გუნდზეა საუბარი. ჩვენი ინფორმაციით საუბარია უკრაინულ და ბერძნულ კლუბებზე.

ახლა "ოლიმპის" სხვა სიახლეებზეც ვთქვათ. აფრიკელი ფეხბურთელებიდან კონტრაქტის გაფორმების ყველაზე მეტი შანსი გაბონის ნაკრების ცენტრალურ მცველ **ერნესტ აკუსაგას** აქვს. ეს ინფორმაცია კლუბის ვიცეპრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** გვითხრა ეს მცველი მთავარ მწვრთნელ **ვარლამ კილასონიასაც** მოსწონს. რაც შეეხება დანარჩენებს, განელი მარჯვენა მცველი **ჯერი აკაიონკუ,** საკმაოდ სწრაფია, ფიზიკურადაც ძლიერია, მაგრამ როგორც კილასონიამ გვითხრა, პოზიციურ თამაშში აშკარად მოიკოჭლებს. მან გუშინ "მერანთან" ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშა. საქართველოში გუშინწინ ჩამოსულმა კამერუნელმა **ევანგემ** კი ამ შეხვედრაში საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა და გაორებული შთაბეჭდილება დატოვა. ის თავდაჯერებულია, საკმაოდ ტექნიკური და მეტოქეების მოტყუებაც არ უჭირს, მაგრამ მატჩზე დამსწრე სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ საყრდენისთვის საჭირო თვისებები - კომბინაციების სწრაფი წამოწყება, ბურთის სწრაფი ატანა და თამაშის გაშლა "მერანთან" ტესტმატჩში მან ვერ გამოავლინა. თუმცა განელი და კამერუნელი მგზავრობისგან გადაღლილები იყვნენ და შესაძლოა სწორედ ეს იყოს მიზეზი, რომ სათანადოდ ვერ წარმოჩნდნენ. კილასონიას თქმით კამერუნელი სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, განელს კი კიდევ დაეკვირდებიან.

დაბოლოს, რუსთაველთა გუნდში ვარჯიშობს და "მერანთან" საკონტროლო მატჩში ითამაშა **კახა მახარაძემ,** რომელმაც გასული სეზონი "ჩიხურაში" ჩაამთავრა და თბილისის "დინამოს" ეკუთვნის. "ოლიმპს" მახარაძის ერთწლიანი იჯარა სურს და ახლა ყველაფერი "დინამოზეა" დამოკიდებული.

გუშინ "ნორჩ დინამოელზე" გამართულ მატჩში კი "ოლიმპმა" "მერანს" 2:0 სძლია. გოლები, **ხუბუამ** და **დვალმა** გაიტანეს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ბორჯომი ცნობებს უცდის

გუშინ შვებულება დაუმთავრდა "ბორჯომს" და პირველი ვარჯიშიც გამართა. გუნდის შემადგენლობა ჯერ არასრულია, რადგან გაურკვეველია ვინ დარჩება გუნდში და ვინ არა.

"ბორჯომმა" საიჯარო ხელშეკრულება გააგრძელა **ბექა შეყრილაძესთან, გიგა ქარქუზაშვილსა** და **თემურ ღონღაძესთან**, რომლებიც წინა სეზონში შესაბამისად "დინამოსგან", "დილასა" და "ვიტ ჯორჯიისგან" ჰყავდა ნათხოვარი.

გუნდი დატოვა **ალეკო კოშკაძემ,** ვინც "ოლიმპში" გადავიდა. საეჭვოა, "ბორჯომში" დარჩნენ **შოთა ჯიქია** და **გიორგი მემარნიშვილი**.

"ბორჯომში" ახალ ფეხბურთელს ელიან - ცენტრალურ მცველ **თენგიზ კობიაშვილს,** რომელიც მანამდე ვიტ-ჯორჯიელი იყო.

გასულ სეზონში ბორჯომელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო "დინამოდან" ნათხოვარი **შოთა გრიგალაშვილი** იყო. გვითხრეს, რომ მას აზერბაიჯანში სურს კარიერის გაგრძელება, მაგრამ მისი მსურველი აზერული გუნდი ჯერ "დინამოს" უნდა შეუთანხმდეს სატრანსფერო თანხაზე. თუ გრიგალაშვილის აზერბაიჯანული ტრანსფერი შეფერხდება, მას ისევ "ბორჯომში" ელიან. გრიგალაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველია და მისი წინსვლისთვის აზერბაიჯანში ნასვლა დიდად სასარგებლო ალბათ არ იქნება...

ადრეც გაუწყეთ, რომ "ბორჯომი" "დინამოდან" ახალი ფეხბურთელების იჯარით აყვანას ისევ აპირებს და "დინამოს" გერმანული შეკრებიდან დაბრუნებას უცდის.

**დავით თავართქილაძე**

სიონი

## კორღალიძე ლატვიას უბრუნდება

ლევან კორღალიძე

ლატვიიდან საქართველოში დაბრუნებული **ლევან კორღალიძე** ისევ ლატვიას დაუბრუნდა. გასული სეზონის მეორე წრეში ბოლნისის "სიონში" მოთამაშე ნახევარმცველმა გუშინ კლუბისგან გათავისუფლების ფურცელი მოითხოვა. ამის მიზეზი ლატვიური "ვენტსპილსის" კორღალიძით დაინტერესება გახდა. კორღალიძის შესაძლებლობები ლატვიაში კარგად იციან და იქაური კლუბის დაინტერესება ბუნებრივი უნდა იყოს.

კორღალიძის "ვენტსპილში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ასე რომ, კლუბის ღირსებას სულ მალე უკვე ორი ქართველი დაიცავს - ლევანს იქ **ზურაბ მენთეშაშვილი** დახვდება.

## დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ აშერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა ჭურლულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მაშულის" ფეხბურთელ ვახილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

**საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.**
**ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.**
**იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!**

www.kazbegi.com

# გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ოთარ მარცვალაძესთან

## არსენალში ვიწყებ

**კიევის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო ოთხშაბათს გულშემატკივრებს შეხვდა. ერთ-ერთი კითხვა ტრანსფერზე დაყენებულ ფეხბურთელებზე დაუსვეს და დემიანენკო ჩვენთვის საინტერესო თემას შეეხო.**

*"დიდი შანსია, ქართველი თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე კიევის "არსენალის" რიგებში ჩაეწეროს. ამ გუნდს თავდასხმაში სერიოზული პრობლემები გააჩნია და ფეხბურთელს იჯარით გავუშვებთ."*

**გუშინ ოთარს კიევში დავუკავშირდით და საინტერესო სიახლეები გაგვიმხილა.**

**- ოთარ, დემიანენკომ უკვე დაადასტურა, რომ შენით კიევის "არსენალია" დაინტერესებული...**

- ეს ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროს გითხარით. თუმცა სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ასე სერიოზულად თუ იყო საქმე. მანამდე მითხრეს, რომ რამდენიმე კლუბთან ჰქონდათ მოლაპარაკება. ოთხშაბათს საღამოს გაირკვა "დინამოს" პოზიცია, რომ ჩემი "არსენალში" ჩემი განათხოვრება სურთ.

**- მერე შენთვის იჯარა მისაღებია?**

- რა თქმა უნდა! უფრო ზუსტად, იჯარით წასვლა თავად მოვინდომე. საათამაშო პრაქტიკას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ დუბლებში თამაში მიუღებელია. წესით, "არსენალში" მეტი საშუალება გამიჩნდება.

**- "არსენალთან" ვარჯიშს როდის იწყებ?**

- დღეს შეკრება იწყება და მივდივარ.

**- იჯარა რა პერიოდზე გავრცელდება?**

- ამჯერად გუნდები ექვს თვეზე შეთანხმდნენ და მერე ვნახოთ. როგორც ამეწყობა საქმე, იმის მიხედვით გადაწყდება.

**- მართალია, რომ დნეპროპეტროვსკის "დნეპრს" კონტრაქტის გამოსყიდვა სურდა?**

- საერთოდ, "დნეპრის" ინტერესზე, მით უფრო გამოსყიდვაზე ბევრი არაფერი ვიცი. კონკრეტული წინადადება "არსენალიდან" იყო და ალბათ, ახალ სეზონს ამ გუნდში დავიწყებ.

**- მართალია, თითქოს კიეველები მოლაპარაკებას რუსეთის და გერმანიის გუნდებთანაც აწარმოებდნენ?**

- გერმანიაზე ვერაფერს გეტყვით და რუსეთი უფრო რეალურად მეჩვენებოდა.

**- გუნდს არ დაასახელებ?**

- იყო ლაპარაკი "ლუჩ-ენერგიაზე" და პრემიერლიგის კიდევ ერთ გუნდზე, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. თუმცა მოდით, ნუ იჩქარებთ და "არსენალში" ჩარიცხულად ჯერ მაინც ნუ გამომაცხადებთ.

**- რატომ, გუნდები ხომ შეთანხმდნენ?**

- ისინი კი შეთანხმდენენ, მაგრამ მე კიდევ არ გადამიწურავს იმედი, რომ რომელიმე უფრო ძლიერ გუნდთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება. რამდენიმე დღე მჭირდება ამის გასარკვევად. თუ არადა, კიევის "არსენალში" დავრჩები.

**- მართალია, რომ იმედაშვილსაც "ლუჩ-ენერგიაში" იწვევენ?**

- ვიცი, რომ მოლაპარაკება იყო, მაგრამ მეტს ვერაფერს ვიტყვი. დათო კიევშია და ისიც ჩემსავით კლუბის ძებნითაა დაკავებული.

**- ალადაშვილიც კიევშია?**

- არა, კიევში მარტო მე და დათო გადმოვფრინდით.

**მერაბ მამულაშვილი**

## მოლებაძე ზაპოროჟიელან მიდის

ზაპოროჟიეს „მეტალურგის" პრეზიდენტის, **ანდრეი კურგანსკის** თქმით, მალე გუნდს ქართველი თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე** დატოვებს. მან იქვე დასძინა, რომ **დავით კვირკველიასთან** მიმართებაში კლუბის ხელმძღვანელობას სულ სხვაგვარი პოზიცია აქვს. ეს უკანასკნელი პრეზიდენტს „მეტალურგის" ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია და მასთან ხანგრძლივ თანამშრომლობას აპირებს.

## გიგიაძე წყვილებში ლიდერობს

მართალია, **ვასილ გიგიაძემ** უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება ვერ შეძლო (მეორე ადგილზე გავიდა), მაგრამ მაინც გამორჩეულია. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინათ იგი ქვეყნის საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელეს. ამას გარდა, ვასო ყველაზე შედეგიანი შემტევი დუეტის წევრიცაა. თანაგუნდელ **ვასილი საჩკოსთან** ერთად მან გასულ ჩემპიონატში 18 გოლი გაიტანა (გიგიაძემ 11, საჩკომ 7).

**ლევან ჯანელიაშვილი**

17-წლამდელთა ნაკრები

## ზავი მერანთან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირისთვის ემზადება. რამდენიმე დღეა, რაც **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი შეკრებას ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" გადის. 17-წლამდელებმა დაგეგმილი ორიდან ერთი საკონტროლო მატჩი უკვე გამართეს. ცანკერმა შეგირდები "მერანთან" ათამაშა. შეხვედრა, ფრედ 1:1 დასრულდა. ჭაბუკთაგან გოლი **ხურციძემ** გაიტანა.

ჭაბუკებმა "მერანთან" შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

**ნიორაძე, რიგვავა, კაკუშაძე, ახალბედაშვილი, ქაშაკაშვილი, მელიქიშვილი, ძალამიძე, გუგუჩია, მამულაძე, შეყილაძე, მეუნარგია.**

ნაკრები თურქეთში ხვალ გაეგზავრება. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი 17-წლამდელები 3 ივლისს თურქეთს, 5-ში კი ალბანეთს ეთამაშებიან. ჯგუფიდან ნახევარფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

**დავით ცაბაძე**

მეორე ბუნდესლიგაში სეზონის დასრულებისთანავე **მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ლომაიას** "კარლს ცაისთან" კონტრაქტი დაუმთავრდათ. გერმანელებმა მათ ხელშეკრულების გახანგრძლივება სთხოვეს. ამაზე ჩვენებურებიც არ იყვნენ უარს, თუ გერმანელები პირობებს გაუუმჯობესებდნენ. საბოლოოდ შეთანხმება არ შედგა და ქართველებმა იენა დატოვეს.

## მოსალოდნელი ტრანსფერი

## აშვეთიამ ანჟი გადაწყვიტა

მას მერე აშვეთიას რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდა. ყველაზე ხშირად "მოსკვას", "სატურნისა" და პირველი ლიგაში მოასპარეზე "ანჟის" სახელები ფიგურირებდნენ. "ანჟის" მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** ფორვარდს პირადად ესაუბრა და დახმარება სთხოვა. მცირე ფიქრის შემდეგ აშვეთიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

*"ომარ თეთრაძე ჩემი მეგობარია. მან დახმარება მთხოვა. სხვა ვარიანტებიც მქონდა და დავფიქრდი. საბოლოოდ გადავწვიტე, ეს სეზონი "ანჟიში" ჩავამთავრო.*

*მახაჩყალაში კვირას ჩავალ და "ანჟისთან" სეზონის ბოლომდე გავაფორმებ კონტრაქტს. მინდა, თეთრაძესა და მის გუნდს პრემიერლიგაში გადასვლაში დავეხმარო და ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კი სხვა გუნდში გადავალ",* - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა აშვეთიამ.

**დავით ცაბაძე**

გრაციის "შტურმში" გადასვლის შემდეგ, **გიორგი შაშიაშვილისადმი** ინტერესი გაორმაგდა და შესაბამისად მასზეც მეტი იწერება. გუშინ ავსტრიულმა "კლაინე ცაიტუნგმა" ქართველ მცველზე კიდევ ერთი მასალა გამოაქვეყნა.

*"გიორგი შაშიაშვილი უნივერსალური მცველია. მას სხვადასხვა პოზიციებზე შეუძლია თამაში. საქართველოს ნაკრების მცველმა "შტურმში" დღემდე სამ საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა მონაწილეობა და სამივეჯერ ცენტრალური მცველის ფინქციას ასრულებდა. ამ მატჩებში მან საკმაოდ მონდომებულად ითამაშა. დაცვაში საიმედო იყო და შეტევისას თანაგუნდელებსაც ეხმარებოდა.*

## შაშიაშვილი ჭოპიმაც აქო

*გრაცელთა გუნდის თავკაცი ფრანკო ფოდა აცხადებს, რომ ის ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს და შაშიაშვილზე აზრი ჰკითხა. ტოპმიოლერმა ფოდას ქართველი მცველი კარგად დაუხასიათა და გიორგის ტრანსფერი ამანაც დააჩქარა.*

*"შტურმის" პრეზიდენტ ჰანს რაინერის აზრით შაშიაშვილი ჩინებული მცველია. ის კლუბს ძვირიც არ დაუჯდა და მისი ყველას ეიმედება. გიორგის გერმანული ენის სწავლა მოუწევს. უკეთესია, თუ ის სწრაფად შეძლებს ენობრივი ბარიერის დაძლევას. დროებით მას თარჯიმანს დავუქირავებთ და გერმანულის შესასწავლად მასწავლებელს მივუჩენთ",* - აი, ასეთია "კლაინე ცაიტუნგში" გამოქვეყნებული სტატიის მოკლე შინაარსი.

დღეს "შტურმი" მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს ქვედალიგოსან "ზემრიახთან".

**დავით ცაბაძე**

სკოლგურთი

## თასი ზუგდიდისაა

გუშინ ქობულეთში დასრულდა "პეპსის თასის" გათამაშება სკოლბურთში. გათამაშება პირველად შარშან ჩატარდა და მხოლოდ დედაქალაქი მოიცვა. წლეულს კი ტურნირი მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. გათამაშების ფინალურ ეტაპს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, ვიცეპრეზიდენტები **გოგი ქავთარაძე** და **გრიგოლ ცაავა** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** დაესწრნენ.

ფინალში ზუგდიდის პირველი და თბილისის 87-ე სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი უგოლოდ დასრულდა, პენალტების სერიაში კი ზუგდიდელებმა 3:2 მოიგეს. მესამე ადგილისთვის ამბროლაურის პირველ და ქუთაისის მე-40 სკოლის გუნდების შეხვედრაც უგოლოდ დამთავრდა, პენალტებში კი ამბროლაურელებმა 2:1 გაიმარჯვეს.

ტურნირის ორგანიზატორებმა გამორჩეულებს სამახსოვრო პრიზები გადასცეს. საუკეთესო მეკარის პრიზი ზუგდიდელ **ნიკოლოზ ხოჭოლავას** ერგო, საუკეთესო მცველად ამბროლაურელი **გიორგი ლომსაძე** მიიჩნიეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გათამაშების ბომბარდირი, თბილისის 87-ე სკოლის მოთამაშე **ევგენი ევყანაშვილი** დასახელეს. გამარჯვებული გუნდის საუკეთესო მოთამაშედ **ცოტნე ფარგალავა** გამოარჩიეს. მაყურებელთა სიმპათიის პრიზი ქუთაისელ **გიორგი გულისკირიას** ერგო. ტურნირის აღმოჩენად კი ბოლნისელი **არჩილ მესხი** დასახელეს.

**დავით ცაბაძე**


CDN ჯავასიის სიფრეი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ქართული ლეგიონი

## თარხნიშვილის სუპერთასი

ზურაბ მენთეშაშვილი

ლატვიურ ვირსლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონი "ვენტსპილსი" შინ გათამაშების ლიდერ "მეტალურგთან" 0:2 დამარცხდა, რითაც ლიეპაიას გუნდს კონკურენტებთან 6-ქულიანი ჰანდიკაპის შექმნის საშუალება მისცა. "ვენტსპილსი" 24 ქულით მეოთხე ადგილზეა და ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩება. არადა მატჩი "ვენტსპილსის" შეტევებით დაიწყო, მეხუთე წუთზე **ზურაბ მენთეშაშვილმა** შესანიშნავი რეიდი მოაწყო, ფლანგზე ორი მეტოქე ჩამოიცილა და შორეულ კუთხეში დაარტყა. ქართველმა ლეგიონერმა ოდნავ ააცილა. მენთეშაშვილმა 90 წუთი ითამაშა და მორიგი ყვითელი ბარათი პირველივე ტაიმში მიიღო.

"ვენტსპილსის" შეფერხებით "სკონტომ" ისარგებლა. რიგელებმა სტუმრად "იურმალა" 2:1 დაამარცხეს, "სკონტო" 25 ქულით მეორეა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **დავით გამეზარდაშვილმა**, ხოლო **ზაალ ელიავა** სათადარიგო იყო. გამეზარდაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო.

ბელარუსში გუშინ მორიგი, მე-11 ტური გაიმართა. **რომან გოგინაშვილის** "ბრესტი" სტუმრად "გომელთან" 1:4 დამარცხდა. ამ მატჩში მსაჯმა ოთხი ფეხბურთელი გააძევა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი გაგდებული გოგინაშვილი იყო, რომელმაც 65-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. **სულიკო კაკაბაძის** "სმორგონი" სტუმრად "მტზ რიპოს" დაუზავდა - 2:2. კაკაბაძეს არ უთამაშია. კიდევ ერთი ფრე ქართველთა კლუბის შესრულებით - მოგილევის "დნეპრი", სადაც **ალექსანდრე შუბლაძე** თამაშობს, შინ "მინსკს" დაუზავდა - 0:0. "სმორგონი" 13 ქულით მეშვიდე ადგილზეა, მას მოსდევს 12-ქულიანი "ბრესტი", "დნეპრს" 9 ქულა აქვს და მეთორმეტეა.

ყაზახეთში მე-13 ტურის მატჩებში თავი ვეტერანმა **გიორგი გოგიაშვილმა** გამოიჩინა. მისმა "კაისარმა" 3:1 დაამარცხა "ორდაბასი". გოგიაშვილმა 23-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ის 66-ე წუთზე შეცვალეს. **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცი" შინ 1:1 დაუზავდა "ესილ-ბოგატირს". არჩვაძემ 90 წუთი ითამაშა. ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა **ზვიად ჯელაძის** "ვოსტოკმა", კლუბმა შინ "აკტობე" 2:1 დაამარცხა. ჯელაძემ შეუცვლელად ითამაშა. ყარაღანდის "შახტიორმა" სტუმრად "ოკუტპესი" დაამარცხა - 2:1. სტუმრები ძალიან ბევრჯერ იხსნა ქართული წარმოშობის გოლკიპერმა **დავით ლორიამ**. **ლევან მელქაძე** მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. **გიორგი გაბიდაური** სათადარიგო იყო. "შახტიორმა" მოგებით (29 ქულა) მეორე ადგილზე გადაინაცვლა და მხოლოდ "აკტობეს" ჩამორჩება. "ტობოლი" 26 ქულით მეოთხეა.

გუშინ მოლდოვაში ქვეყნის სუპერთასით გაიხსნა ახალი საფეხბურთო სეზონი. ერთმანეთს ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდი შეხვდნენ, "შერიფი" და "ზიმბრუ". ორივე კლუბში დაცვის ხაზში თითო ქართველი თამაშობდა, "შერიფს" **ვაჟა თარხნიშვილი** კაპიტნობდა, ხოლო "ზიმბრუს" დაცვის მარჯვენა ფლანგზე **მამუკა ლომიძე** ირჯებოდა. თანაბარი თამაშის ბედი "შერიფელი" **ალბერტო ტიაგოს** მიერ 84-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა - 1:0. მაშ ასე, თარხნიშვილმა კიდევ ერთი მოლდოვური ტიტული მიითვალა - 2007 წლის სუპერთასი.

რუსეთში თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩებში რამდენიმე სენსაცია მოხდა, ტურნირს დაემშვიდობა **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივი". ბრძოლას აგრძელებს **გოგიტა გოგუას** "სატურნი", რომელმაც სტუმრად "სკა-ენერგია" 2:1 დაამარცხა. ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია. "ლოკომოტივი" სტუმრად "ურალთან" 0:1 დამარცხდა. კლუბს ვერც მალხაზმა უშველა, რომელმაც 90 წუთი ითამაშა. გავარდა "კრილია სოვეტოვიც", რომელიც ანალოგიურად 0:1 დამარცხდა სტუმრად კამაზთან. **დავით მუჯირს** არ უთამაშია. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის "დინამომ" გასული სეზონის სასწაულის გამეორება ვეღარ შეძლო, კლუბი შინ 1:4 დამარცხდა "ზენიტთან". ჯინჭარაძემ შეუცვლელად ითამაშა. ბრძოლას აგრძელებენ "რუბინი" ("ლიახოვცი" 2:1 დაამარცხა) და ნალჩიკის "სპარტაკი". მერვედფინალში ეს გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. "სატურნი" კრასნოიარსკის "მეტალურგს" ეწევა.

მორიგი ტურის მატჩები გაიმართა ლიტვაში. A ლიგის ჩემპიონმა "კაუნასმა" სტუმრად პანევეჟისში დაკარგა ქულები, სადაც "ეკრანასს" დაუზავდა - 2:2. "კაუნასის" ქართველები, **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა** სასტარტოში იყვნენ. რომ არა ლიტვის ნაკრების ფორვარდი **ბენიუშისი** "კაუნასი" ზედიზედ მესამედ დამარცხდებოდა ჩემპიონატში, მან მატჩის 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. ქართულმა დუეტმა შეუცვლელად ითამაშა. **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტემ" "ატლანტასს" უმასპინძლა და დაუზავდა - 1:1. ხუბუტიამ 90 წუთი ითამაშა. "ვილნიუსის" მარცხმა ლიტვაში დროებით სამხელისუფლებიანობა დაამყარა, 33-33 ქულა აქვთ "კაუნასს", "ვილნიუსსა" და "ჟალგირისს". "შილიუტე" კვლავ ბოლოსნინა ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ ლევან ფანიაშვილთან

## საჭიროა პრევენცია, კადრები და მეჯი ფული

### ყველა უნდა გრძნობდეს, რომ მსაჯი მოედანზეა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვით, 2006-07 წლების ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯი ლევან ფანიაშვილი გახდა. მის გარდა საერთაშორისო კატეგორიის ქართველი არბიტრები ამ დროისთვის გიორგი ვადაჭკორია და ლაშა სილაგავა არიან. გამოკითხვის შედეგებით ფანიაშვილის უმთავრესი კონკურენტებიც ისინი იყვნენ.

მსაჯი მოედანზე ძალიან საკვანძო ფიგურაა, ხშირად მისი გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად მოქმედებს მატჩის შედეგზე, ფანიაშვილს კი შეცდომები იშვიათად მოსდის. მან იმსაჯა წინა ეროვნული ჩემპიონატის ალბათ უმთავრესი მატჩი მეორე წრეში რუსთავის "ოლიმპისა" და თბილისის "დინამოს" შეხლა, რომელიც 0:0 დასრულდა და ფაქტობრივად ჩემპიონის საკითხიც გადაწყვიტა. არბიტრის მიმართ კი მისხალი პრეტენზია არც ერთი გუნდის წარმომადგენელს არ გამოუთქვამს. ვფიქრობთ, წლის მსაჯი ფანიაშვილი რომ გახდა, ამ შეხვედრაში მისმა კარგმა მსაჯობამაც მნიშვნელოვნად განაპირობა.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ჟურნალისტებმა სეზონის საუკეთესო მსაჯად დაგასახელეს?**

- სასიამოვნოა, როცა კარგად გაკეთებულ საქმეს დაგიფასებენ.

**- კარგად გასაკეთებელი საქმისთვის როგორ ემზადებით?**

- ყველა მსაჯს თავისი მეთოდი აქვს, თუ როგორ მოემზადოს კონკრეტული მატჩისთვის. შესაძლოა, ამაში განსაკუთრებული არაფერი იყოს, მაგრამ თამაშის წინა დღეებში გონებაში ვატრიალებ ნირგვარ სათამაშო ეპიზოდებს, რადგან თუ ასევე მოხდება თამაშის დროს, სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გამიჭირდეს. განსხვავებით ზოგიერთი მსაჯისგან, თამაშის დღეს მატჩის წინ ძილი არ მიყვარს, რადგან ამით ვითენები, კონცენტრაცია კი კარგი მსაჯობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

**- კარგი მსაჯობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა პატიოსნებაც არის - რამდენჯერ შემოგთავაზეს გარიგება წინა სეზონში?**

- არცერთხელ, ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა, როცა მსაჯის კარიერას ვიწყებდი. მაშინ შემოვლითი გზებით სცადეს ეს. მას აქეთ ჩემი მოქრთამვა არავის უცდია. ისე, პატიოსნება მხოლოდ ლაპარაკით კი არა, მოედანზე მსაჯობითაც უნდა ამტკიცო.

**- ერთ-ერთი კლუბის მესვეურმა მითხრა, მსაჯის მოსყიდვის ტექნოლოგიები ისე დაიხვეწა, თუ არბიტრს ვერ ქრთამავენ, მის ასისტენტებს მისდგებიანო - არასდროს დაეჭვებულხართ მოედანზე თქვენს თანაშემწეებში?**

- თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი, მე კი ასეთი ეჭვი არასდროს ამიღია დამხმარე მსაჯებზე. თუ ნდობა არ არსებობს, არაფერი გამოვა. მსაჯთა ბრიგადაც გუნდური პრინციპით მუშაობს.

**- ასეთი ეჭვის მაქსიმალურად შესამცირებლად, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, საქართველოს ჩემპიონატში არბიტრი რომ ნიშნავდეს მის ასისტენტებს?**

- ბევრ ქვეყანაში ასეც ხდება - ანგარიშს უწევენ არბიტრის აზრს. ასეა საერთაშორისო მატჩებზეც.

**- როგორც ვიცით, ქართველი მსაჯები ანაზღაურებით უკმაყოფილონი ხართ...**

- უფრო მაღალ ანაზაღაურებას ვითხოვთ, რადგან ჩვენი შრომა საკმაოდ მძიმეა. კვირაში ერთხელ კი გვდგივართ მოედანზე, მაგრამ ეს თავისი სტრესით ერთი კვირის შრომას უდრის. ვითვალისწინებთ ფეხბურთის ფედერაციის შესაძლებლობებს, თუმცა ჩვენი ანაზღაურება უნდა გაიზარდოს, ამით კორუფციის შანსიც კიდევ უფრო შემცირდება. აზერბაიჯანში ერთი მატჩის მსაჯობისთვის არბიტრი 450 დოლარს იღებს, სომხეთში 200 ევროს, საქართველოში კი 191 ლარს, თანაც ამაში შედის მივლინების ხარჯები. ყოველივე ამის გამო ჩვენთვის საკმაოდ პრობლემატური გახდა კადრების დეფიციტი. მსაჯობა ფინანსურად მიმზიდველი უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ მსაჯობა საქართველოშიც პროფესიონალური გახდეს. ასეა ბევრ ქვეყანაში და უკვე ფიფაშიც ასეთი ტენდენციაა.

**- საქართველოში ახლა მსაჯი ბევრად უკეთესადაა დაცული, ვიდრე წინა წლებში, თუმცა ისევ ხშირია უკმაყოფილება მსაჯებისადმი, მსაჯი მაინც უარყოფით პერსონაჟად რჩება...**

- კონფლიქტები მეც მქონია ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან თუ კლუბის მესვეურებთან, მაგრამ არა კორუფციულ ნიადაგზე. მსაჯობისას მომსვლია შეცდომებიც, მაგრამ ხშირად დაუმსახურებლადაც გავუკრიტიკებივართ. თავისებური პრევენცია აქაც საჭიროა - დადებითი იმიჯის შექმნაში მსაჯს ყველა უნდა დაეხმაროს, მათ შორის მასმედიაც.

**- გარდა შესაბამისი განათლებისა და ფიზიკური ფორმისა, რა არის მთავარი კარგი მსაჯობისთვის. რა არის ის, რასაც ვარჯიშითა და სწავლით ვერ შეიძენენ, რაც თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს მსაჯს?**

- მენტალური მომზადება - ყველა უნდა გრძნობდეს, რომ მსაჯი მოედანზეა. კიდევ ის, რომ თამაშის ნაკითხვა უნდა შეგეძლოს, თამაშს უნდა გრძნობდე.

**დავით თავართქილაძე**

## ქეცბაიას საზეიმოდ გააცილებენ



**კვიპროსში** საფეხბურთო სეზონი 1 სექტემბერს იწყება. მანამდე საინტერესოა, როგორ ემზადებიან კუნძულზე მოთამაშე ჩვენებურები. დავიწყებთ კაცით, რომელმაც მაისის თვეში კარიერაში უკანასკნელად ითამაშა ოფიციალურ მატჩში. **თემურ ქეცბაია** ჯერ ახალბედა მწვრთნელად ითვლება, თუმცა სეზონი უტიტულოდ არ დაუსრულებია, მისმა "ანორთოსისმა" კვიპროსის თასი მოიპოვა და დღეს უეფას თასზე მომავალი მეტოქის ვინაობას გაიგებს. უეფას თასისთვის "ანორთოსისი" ჰოლანდიაში მოემზადება. ახალწვეულთა შერჩევაში თემური ფრთხილია: "*ისეთ ფეხბურთელებს არ ავიყვანთ, რომელთა შესაძლებლობებს არ ვიცნობთ და არც ისეთს, ვინც ვერ გაგვაძლიერებს. არსად გვეჩქარება*", - განაცხადა თემურმა კვიპროსელ ჟურნალისტებთან საუბარში.

ქეცბაიას 14 ივლისს კვიპროსში საზეიმო გაცილებას მოუწყობენ. ჯერ მატჩის ყველა დეტალი ცნობილი არაა, თუმცა უკვე ითქვა, რომ სათამაშოდ ჩავლენ ბერძნული აეკ-ის ვეტერანი ფეხბურთელები, სხვა უცხოელი ფეხბურთელები ევროპიდან. ქეცბაიამ განაცხადა, რომ მას უკვე ბევრმა ფეხბურთელმა მისცა თანხმობა გაცილების მატჩში მონაწილეობაზე. მოკლედ, კუნძული ბოლო ორი ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელს საზეიმოდ გააცილებს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ჩვენ?

ახნასის "ეთნიკოსი" უკვე ჩაება ინტერტოტოს თასის გათამაშებაში. გუნდის შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ ვეტერანი **ლევან ქებაძე**. როგორც აღმოჩნდა, ის ისევ კლუბშია და არც ტრავმა აწუხებს. უბრალოდ ლევანს ვიზის პრობლემა შეექმნა და კუნძულზე ჩასვლა გადაუვადდა. ქებაძე ვერც საპასუხო მატჩში დაეხმარება "ეთნიკოსს".

ცოტა ხნის წინათ ლიმასოლის "აპოლონში" **ლევან მაღრაძის** და კიდევ ორი ახალწვეულის წარდგენა მოხდა. კვიპროსში საბერძნეთიდან დაბრუნებული 30 წლის ქართველი მცველი "აპოლონში" 23-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. მართალია, **კლიმენტი წიტაიშვილი** ჯერჯერობით აეკ-ის რიგებში ირიცხება. თუმცა მისი საკითხი დღე-დღეზე უნდა გაირკვეს. შესაძლოა, ქართველმა კლუბი დატოვოს. "აია ნაპაში" ირიცხება ნახევარმცველი **კონსტანტინე დარსანია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საჯაიას საგოლე პასით დაიწყეს

**გერმანიის** რეგიონალლიგის ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო "როიტლინგენმა", რომლის შემადგენლობაშიც 31 წლის ქართველი ნახევარმცველი **მიხეილ საჯაია** თამაშობს. პირველი ტესტმატჩი იოლი გასეირნება გამოდგა სტუმრად ჩასული "როიტლინგენისთვის", საჯაიას კლუბმა "ვერნაუ" 9:0 დაამარცხა. სტუმრები პირველივე წუთზე ქართველის საგოლე პასის შემდეგ **სვენ შიპლოკის** გატანილი გოლით დაწინაურდნენ. "როიტლინგენი" 30 ივნისს, მორიგ ტესტმატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ კლუბმა გასულ სეზონში რეგიონალლიგაში მე-11 ადგილი დაიკავა.



დონ ფაბიო სახლში მიემგზავრება

რეალი. დასრულდა ესე ამბავი

# კაპელო შინისაკენ

## სამეფო კლუბს ახალი ამოცანები და გეგმები აქვს

სპანის ოპერა დასრულდა. მადრიდის "რეალი" და **ფაბიო კაპელო** განქორწინდნენ. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ამ პრობლემატურ საკითხზე ოფიციალური განცხადებების გაკეთებას გაურბოდა. ჟურნალისტები მხოლოდ კულუარული ინფორმაციებით საზრდოობდნენ და ვარაუდობდნენ, რომ იტალიელი სპეციალისტი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა. გუშინ ყველაფერი გაირკვა. ესპანეთის დროით 14 საათზე "რეალის" ოფისში ესპანური გრანდის დირექტორატის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. საფეხბურთო ფუნქციონერებმა დახურულ კარსმიღმა ორი საათის განმავლობაში იმსჯელეს. როგორც თავად აღნიშნეს, მათ ყველა დეტალი საბოლოოდ გააანალიზეს და გადაწყვიტეს, რომ დონ ფაბიოსთან გაფორმებული კონტრაქტი უნდა გაეწყვიტათ. **მიატოვიჩსა** და **კალდერონს** საკომპენსაციო თანხის გადახდის აუცილებლობაც არ აშინებთ. ცნობილია, რომ კაპელო მომდევნო ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხუთ მილიონ ევროს მიიღებს. ექსპერტების დიდი ნაწილისთვის გაუგებარი დარჩა თუ რატომ დაითხოვეს ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი. მიატოვიჩს კონკრეტულ მიზეზებზე არ უსაუბრია, ის მხოლოდ ზოგადი კომენტარით შემოიფარგლა: *"გადაწყვეტილება საბოლოოა. კაპელოს ვემშვიდობებით. მას გაწეული სამუშაოსთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ. გვერწმუნეთ, ამ ნაბიჯის გადადგმა იოლი არ გახლდათ. იტალიელმა სპეციალისტმა ოთხწლიანი ჩავარდნის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოგვიტანა. რა თქმა უნდა, მისი დიდი დამსახურებაა, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ სენიორ ფაბიო ჩვენი სამომავლო გეგმების განსახორციელებლად აღარ გამოგვადგებოდა. დირექტორატის ერთი ნაწილი აცხადებს, რომ გუნდმა სეზონის უდიდესი ნაწილი უსახურად ჩაატარა. მოკლედ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით რადიკალური გადაწყვეტილება მივიღეთ. საკომპენსაციო თანხას რა თქმა უნდა, დაუგვიანებლად გავისტუმრებთ".*

ბუნებრივია, ამ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ გენერალურ დირექტორს კაპელოს მემკვდირეზე ჰკითხეს. მთელი მადრიდი **ბერნდ შუსტერის** დანიშვნას ელის. ბატონმა პრედრაგმა გერმანელ სპეციალისტთან ურთიერთობის ფაქტი დაადასტურა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერ საუბარი არ მიმდინარეობს: *"ჩვენ რამდენიმე სპეციალისტთან ვაწარმოებთმოლაპარაკებას. არ დავმალავ, რომ შუსტერის საფეხბურთო მსოფლმხედველობა ჩვენს შეხედულებებს ემთხვევა. მაგრამ ამავდროულად პროფესიონალიზმი და კოლეგიალობა არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ "ხეტაფეს" გვერდის ავლით ვიმოქმედოთ. ამ საქმეში შუსტერმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა გაარკვიოს კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. ჯერჯერობით წარმოდგენა არ გვაქვს, ვინ დაიკავებს ვაკანტურ თანამდებობას. ერთი რამ კი უდავოა, მწვრთნელის სავარძელში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი მოკალათდება. როგორც კი გადაწყვეტილებას მივიღებთ, უმალვე საქმის კურსში ჩაგაყენებთ."*

ესპანელმა ჟურნალისტებმა თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, ფაბიო კაპელოსთან დაკავშირება ვერ შეძლეს. იტალიელი ახლა შანხაიში იმყოფება და მობილურ ტელეფონს არ რთავს. არადა, საინტერესო იქნებოდა სამეფო კლუბის აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი კალდერონისა და მისი ამფსონების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კაპელო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხმას ამოიღებს და ესპანური გრანდის უმაღლეს ხელისუფლებზე ჩვეული ცინიზმით ალაპარაკდება.

აქვე თავს უფლებას მივცემთ ჩვენი მოსაზრებებიც გაგიზიაროთ. მართლაც, დაუჯერებელია, რომ თანამედროვეობის უდიდეს საფეხბურთო სპეციალისტს ამდენად უდიერად მოეპყრნენ. კაპელომ ხომ ყოვლად დაჩაჩანაკებული და დემორალიზებული გუნდი ჩაიაბარა. გუნდი, რომელმაც ბოლო წლებში უთვალავი სასონარკვეთილება გამოიარა, უამრავი მწვრთნელი, პრეზიდენტი და ფეხბურთელი შეიცვალა. გასული სეზონის დაწყების წინ დონ ფაბიომ პირობა დადო - ჩემპიონები გავხდებითო. გამოგიტყდებით, მისი სიტყვები უტოპიას გავდა, მაგრამ ამ კაცმა მართლაც შეუძლებელი შეძლო და ბანდად ქცეული სამეფო კლუბი მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში დააბრუნა. სამწუხაროდ, დიდი ღვაწლი დაუფასებელი დარჩა. უმადურობა საშინელებაა. დირექტორებისა და პრეზიდენტებისგან განსხვავებით, გულშემატკივრები ყველაფერს კარგად ხედავენ და ადექვატურადაც აფასებენ. ინჩასებს ყოველთვის ემახსოვრებათ, რომ კაპელომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მხოლოდ ორი სეზონი გაატარა და ორი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

ბარსელონა

# აბიდალი კატალონიელია

## ვან ბრონკჰორსტი ფეიეენოორდში, ჟიული მონაკოში და ელანო კამპ ნოუზე...

"ბარსელონა" და "ლიონი" **ერიკ აბიდალის** ტრანსფერზე შეთანხმდნენ. გუშინ, ფრანგი მცველის განცხადება გაგაცანით. მას არ დაუმალავს, რომ კატალონიურ გრანდში კარიერის გაგრძელებაზე ოცნებობდა. როგორც ჩანს, ერიკის შეუპოვრობამ მთავარი როლი შეასრულა. ფრანგული კლუბის მესვეურებს მისი გასხვისება არ სურდათ, მაგრამ საკითხის კატეგორიულად დაყენების შემდეგ იძულებულები გახდნენ, მოლაპარაკებებში ჩართულიყვნენ. "ბარსას" ახალწვეულის გადაბირება 14 მილიონი ევრო დაუჯდა. აბიდალი ლეგენდარულ "კამპ ნოუზე" ოთხ წელიწადს გაატარებს. ფინანსური დეტალების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგი ვარსკვლავი სოლიდურ ხელფასს მიიღებს.

ამასობაში **კრისტიან კივუს** ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა გადამწყვეტი რაუნდი დაიწყო. მოგეხსენებათ, ბარსელონაში რომიდან საგანგებო დელეგაციაა ჩასული. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ **ჩიკი ბეგირისტაინმა** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და საზოგადოებას ამცნო, რომ "რომას" ხელმძღვანელები რუმინელი მცველის გასხვისების იდეას მტკივნეულად აღარ ხვდებიან. ერთადერთ პრობლემას ფული წარმოადგენს. როგორც ამბობენ, მხარეები ორ მილიონ ევროზე ვერ თანხმდებიან. იტალიური კლუბი კივუს სანაცვლოდ 16 მილიონ ევროს ითხოვს. "ბარსა" მხოლოდ 14 მილიონს იმეტებს.

"ბარსელონამ" ჰოლანდიელ მცველ **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს** კონტრაქტი გაუწყვიტა. 32 წლის ფეხბურთელმა თავისუფალი აგენტის სტატუსით "ფეიენოორდს" მიაშურა. მისი ხელშეკრულება 2008 წელს იწურებოდა. მან შეთანხმება გასული წლის მიწურულს, ერთი წლით გააგრძელა, მაგრამ ბოლო ექვს თვეში "ბარსაში" ბევრი რამ შეიცვალა. ვან ბრონკჰორსტი ზედმეტი აღმოჩნა და მანაც სამშობლოში დაბრუნება არჩია. ჯიომ კატალონიაში ოთხი სეზონი გაატარა, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა და ერთხელ ჩემპიონთა თასს დაეუფლა. "ფეიენოორდი" მისი მშობლიური კლუბია. ვან ბრონკჰორსტს "რეინჯერსსა" და "არსენალშიც" უთამაშია.

"მონაკოს" "ბარსელონის" შემტევი ნახევარმცველის, **ლუდოვიკ ჟიულის** შეძენა სურს. პრინსიპატელები არ მალავენ, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჟიულიმ "მონაკოში" რამდენიმე შთამბეჭდავი სეზონი გაატარა. 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი ითამაშა, სადაც მისმა თანაგუნდელებმა "პორტუსთან" 0:3 წააგეს. მოსალოდნელი ტრანსფერთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ გავრცელებულა.

და კიდევ, "ბარსა" დონეცკის "შახტარის" ბრაზილიელი ნახევარმცველით **ელანო ბლუმერით** დაინტერესდა. 26 წლის ფეხბურთელი კოპა ამერიკაზე იმყოფება. კატალონიელები ვენესუელაში სკაუტებს მიავლენენ, რათა ფეხბურთელის თამაში დეტალურად შეისწავლონ. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. უკრაინული გრანდი თანახმაა, ელანოს 10 მილიონ ევროდ გამოეთხოვოს. სამი წლის წინ "შახტარმა" "სანტოსს" 7.6 მილიონი გადაუხადა.



ერიკ აბიდალი

ობა მარტინსი

ნიუკასლი

# მარტინსი ანრის ნაცვლად?

## ელერდაისმა ჯერემი და ედმილსონი მოიკითხა

**ობა მარტინსმა,** შეიძლება, "არსენალს" მიაშუროს. "მირორის" ცნობით, "მეთოფეები" მას **ტიერი ანრის** შემცვლელად განიხილავენ. "ნიუკასლი" ნიგერიელ თავდამსხმელს 13 მილიონ გირვანქად აფასებს. ლონდონელები თვლიან, რომ ეს ძალიან მაღალი ფასია. თავად განსაჯეთ, პრემიერლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდმა ანრიმ "ბარსელონას" 16 მილიონად მიაშურა. მარტინსმა შარშანდელი სეზონი (სადებიუტო სეზონი ინგლისში) 17 გოლით დაასრულა. ჯორდების ახალ თავკაც **სემ ელერდაისს** მისი დარჩენა სურს, მაგრამ მწვრთნელმა იცის, რომ გრანდების დაინტერესების შემთხვევაში მისი შენარჩუნება გაუჭირდება. ცნობისთვის, ელერდაისს არ დაუმალავს, რომ ობას თაობაზე "ნიუკასლისათვის" ჯერ არავის მიუმართავს.

ჯორდები ჩელსელი **ჯერემით** დაინტერესდნენ. "დეილი მეილი" იუწყება, რომ კამერუნელ ნახევარმცველს სარფიანი კონტრაქტი უკვე შესთავაზეს. ლონდონურმა კლუბმა მიმომხილველებს აუწყა, რომ კამერუნელს ხელშეკრულება უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება. ის ერთშაბად რამდენიმე ფრონტზე მართავს მოლაპარაკებებს. დაინტერესებულ კლუბებს შორისაა "ნიუკასლიც".

და კიდევ, ჯორდების ყურადღება "ბარსელონის" 30 წლის მცველმა **ედმილსონმაც** მიიპყრო. ბრაზილიელს საყრდენ ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში. კატალონიელებს ის აღარ სჭირდებათ, მაგრამ ფეხბურთელს უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. "ნიუკასლის" გარდა, მას "მარსელშიც" ეპატიჟებიან. ერთი ხანობა, დაინტერესებულთა შორის "მილანსაც" ასახელებდნენ.

## კოულმენს სან სებასტიანში უხმეს

პრიმერა დივიზიონიდან გავარდნილი "რეალ სოსიედადი" "ფულჰემის" ყოფილ მწვრთნელს **კრის კოულმენს** ეპატიჟება. ბასკური კლუბი ახალი დამრიგებლის ვინაობას კვირის ბოლომდე გაახმაურებს. იქამდე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **მარია დე ლა პენია** და მისი დირექტორები ყველა ვარიანტს კარგად ანონ-დანონიან. დე ლა პენიამ ყოფილი პრეზიდენტი **მიგელ ფუენტესი** ივნისის შუა რიცხვებში შეცვალა. ამ უკანასკნელმა თანამდებობა სეგუნდა დივიზიონში დაქვეითების გამო დატოვა. ახალი ბოსი არ მალავს, რომ მისი სიმპათიები ბრიტანელი სპეციალისტისაკენ იხრება. მისი თქმით, კოულმენის დანიშვნა სანსებასტიანურ კლუბში ახალი იდეების დანერგვას შეუწყობს ხელს. მისტერ კრისი უელსის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია. ის "ფულჰემმა" აპრილში, არადამაკმაყოფილებები შედეგების გამო დაითხოვა. კოულმენს "სოსიედადის" ყოფილმა მწვრთნელმა **ჯონ ტოშაკმა** გაუწია რეკომენდაცია. ტოშაკი ამჟამად უელსის ნაკრებს ავარჯიშებს. ახალმა მწვრთნელმა ერთი კვირის წინ გადამდგარი **მიგელ ანხელ ლოტინა** უნდა შეცვალოს. შეგახსენებთ, ბასკები პრიმერა დივიზიონს ბოლო 40 წელიწადში პირველად გამოეთხოვნენ.

## დორასომ ლივორნო გააძლიერა

"ლივორნო" აღარ ხუმრობს. **ფრანჩესკო ტავანოსა** და **ფაუსტო როსინის** შემდეგ, კლუბმა "მილანის" ყოფილ ნახევარმცველ **ვიკაშ დორასოს** გაუფორმა კონტრაქტი. ამ უკანასკნელს მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა. სექტემბერში ის "პარი სენ ჟერმენიდან" მიიბრძანეს, რადგან მთავარ მწვრთნელ გი ლაკომბს მატყუარა უწოდა. დორასო 2006 წლის მუნდიალის მონაწილეა, თუმცა ტურნირზე ერთი წუთიც კი არ უთამაშია და მისი დასრულებისთანავე, **რაიმონ დომენეკი** საჯაროდ აშაყირა. 2004-05 წლების სეზონში, ვიკაშმა სერია A-ში 12 მატჩი ჩაატარა.

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი

# სანჩესმა დუნგა დააშამათა

## ჩილემ სუასოს დუბლით წაგებული მატჩი გადაარჩინა

ბრაზილიელებს ერთი გოლი ნერი კასტილიომ გაუტანა

**ბრაზილია-მექსიკა 0:2**

**გოლები**: 0:1 კასტილიო (23), 0:2 მორალესი (28)

**ბრაზილია:** დონი, მაიკონი (78. დანიელ ალვეში), ალექსი, ჟუანი, ჟილბერტო სილვა, ჟილბერტო, მინეირო, ელანო (46. ანდერსონი), დიეგო (46. ალფონსო), რობინიო, ვაგნერ ლავი

**მექსიკა:** ოჩოა, ისრაელ კასტრო (74. ხოსე ანტონიო კასტრო), მარკესი, მაგალიონი, პინტო, არსე, კორეა, ტორადო, მორალესი (78. ლოსანო), კაჩო (69. ბრავო), კასტილიო

**ჩილე-ეკვადორი 3:2**

**გოლები**: 0:1 ვალენსია (16), 1:1 სუასო (21), 1:2 ბენიტესი (23), 2:2 სუასო (80), 3:2 ვილიანუევა (87)

**ჩილე:** ბრავო, ორმენინო, კონტრერასი, ვარგასი, მარკ გონსალესი, სანუესა, მელენდესი (73. ვილიანუევა), ვალდივია, მატიას ფერნანდესი (46. რიფო), ნავია (46. ლორკა), სუასო

**ეკვადორი:** მორა, დე ლა კრუსი, ურტადო, ესპინოსა, ბაგი, სეგუნდო კასტილიო, ედვინ ტენორიო, ვალენსია, მენდესი, ბენიტესი, კარლოს ტენორიო (76. სასიედო)

თამამად შეიძლება ითქვას, სამხრეთამერიკული ფეხბურთის მოყვარულები ბრაზილიის ნაკრების დებიუტს მოუთმენლად ელოდნენ. "სელესაო" მრავალი დანაკლისის მიუხედავად, უპირობო ფავორიტად ითვლება. მართალია, მთავარმა ვარსკვლავებმა, **რონალდინიომ** და **კაკამ** მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ კოპა ამერიკაზე თამაში არ ისურვეს, მაგრამ **კარლოს დუნგას** ბიჭები მაინც ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევიან. სიმართლე ითქვას, ბრაზილიის განახლებული ნაკრებისგან სადებიუტო ორთაბრძოლაში გაცილებით მეტს ელოდნენ. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ პენტაკამპეონები კონკაკაფზე ასპარეზობით გადაღლილ მექსიკას ეთამაშებოდნენ. მოგეხსენებათ, **უგო სანჩესის** გუნდს სხვადასხვა მიზეზის გამო, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სპეციალისტები ამ პაექრობაში ბრაზილიელების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. მექსიკელებმა საუცხოო შეხვედრა ჩაატარეს. ისინი განსაკუთრებით პირველ ტაიმში გამოირჩეოდნენ. "სელესაოს" მცველებს **ნერი კასტილიოს** გაჩერება ძალიან უჭირდათ. აღსანიშნავია, რომ ამ ფორვარდს ერთბაშად სამი ნაკრები ინვევდა. ის მექსიკაში დაიბადა, მაგრამ ურუგვაიში გაიზარდა. დიდ ფეხბურთს კი საბერძნეთში ეზიარა. **ოტო რეჰაგელი** მას დიდი ხნის განმავლობაში თხოვდა, საბერძნეთის ეროვნული გუნდის მაისურა მოერგო. ურუგვაელებიც აქტიურობდნენ, მაგრამ კასტილიომ მშობლების ქვეყანას არ უღალატა. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მექსიკის ნაკრებში ის კიდევ არაერთ შთამბეჭდავ შეხვედრას ჩაატარებს.

საწყის წუთებში ბრაზილია ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ სანჩესის ბიჭებმა თამაში მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიტანეს. **მაიკონსა** და **ალექსს** ძალიან ბევრი სამუშაო ჰქონდათ. ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ცენტრალური მცველები დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ვერ უმკლავდებოდნენ. ამასობაში 23-ე წუთიც დადგა. მექსიკელებმა ფანტასტიკური იერიში მოაწყვეს. რამდენიმესვლიანი კომბინაციის შემდეგ კასტილიო საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა. მან მაიკონს ბურთი ეფექტურად თავზე გადაუგდო და **დონის** აუღებელი დაურტყა. წესით, დუნგას შეგირდები ერთი-ორად უნდა გააქტიურებულიყვნენ, მაგრამ თამაში საპირისპირო სცენარით წარიმართა. შეტევებში მექსიკა უფრო მეტ დროს ატარებდა. ერთ-ერთი იერიში სამხრეთამერიკელებმა წესების დარღვევით შეაჩერეს. არგენტინელმა **სერხიო პესოტამ** ჯარიმა დანიშნა. **რამონ მორალესმა** ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო და დონისგან მარცხენა კუთხე დალაშქრა.

შესვენების შემდეგ ბრაზილიელებმა მრავალი მომენტი ვერ გამოიყენეს. 15-წუთიან მონაკვეთში მოწინააღმდეგის კართან მათ ნამდვილი შტურმი მოაწყვეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს. ნერი კასტილიოს დუბლის შესრულების შესანიშნავი შანსი ჰქონდა, თუმცა მექსიკელმა ფორვარდმა ცარიელ კარში გატანა ვერ შეძლო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ მთავარ მწვრთნელებს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა ჰქონდათ. თავდაპირველად კარლოს დუნგას განცხადებას გაგაცნობთ. სხვათა შორის, "სელესაოს" თავკაცის რანგში მან პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა: "დასანანია, რომ წავაგეთ. ცხადია, გამარჯვებას ვგეგმავდით, მაგრამ მოვლენები ჩვენთვის არასახარბიელოდ წარიმართა და სამი ქულა დავკარგეთ. მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა. ვფიქრობ, მექსიკელებმა ორივე ბურთი ფორტუნის წყალობით გაგვიტანეს. სელესაომ გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ მათგან განსხვავებით, არ გაგვიმართლა. რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ტურნირი გამარჯვებით დაგვეწყო, თუმცა ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. დარწმუნებული ვარ, მომდევნო შეხვედრებში მოვიგებთ და ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ."

უგო სანჩესი აღფორთოვანებას ვერ მალავდა: "უამრავი პრობლემისა და ფეხბურთელების გადაღლის მიუხედავად, საუცხოო შეხვედრა ჩავატარეთ. ჩვენი მოწინააღმდეგე ბრაზილიის ნაკრები იყო. გუნდი, რომელიც ნებისმიერი ტურნირის ფავორიტია. სწორი ტაქტიკისა და მოთამაშეების თავგანწირვის წყალობით, სამ ქულას მოვუყარეთ თავი. დარწმუნებული ვარ, ჯგუფურ ეტაპს უპრობლემოდ დავძლევთ და ფინალში გასვლისთვის ვიბრძოლებთ. გულწრფელად რომ გითხრათ, დღევანდელი ტრიუმფი ფეხბურთელების დამსახურებაა. მე არც ყველაზე ცუდი და არც საუკეთესო მწვრთნელი არ გახლავართ. უბრალოდ, ბიჭებს დავეხმარე, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოემჟღავნებინათ. ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ მექსიკის ნაკრების უკლებლივ ყველა მოთამაშემ თავდაუზოგავად იმუშავა. მერწმუნეთ, მათთვის ეს არ იყო იოლი. ყველა დაღლილი და ქანცგამოცლილია. ბევრს მიკროტრავმებიც აწუხებს, მაგრამ არაფერს შევუშინდით და მართლაც, გმირული გამარჯვება ვიზეიმეთ."

რამდენიმე საათით ადრე ამავე ჯგუფში ჩილესა და ეკვადორის ნაკრებების დაპირისპირება გაიმართა. გულშემატკივრებს ძალიან გაუმართლათ, რადგან უაღრესად დინამიკური, შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი იხილეს. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად, ეკვადორელები დომინირებდნენ. მათი მონდომება ანგარიშზეც აისახა. მე-16 წუთზე **ანტონიო ვალენსიამ** ძალიან ლამაზი ბურთი შეაგდო. მისი მაკრატელას წინაშე **კლაუდიო ბრავო** უძლური აღმოჩნდა. **ნელსონ აკოსტას** გუნდმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, შეტევა გააძლიერა, მაგრამ დაცვას სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია და რამდენიმე კონტრშეტევა გაატარა. მათდა საბედნიეროდ, **ლუის ფერნანდო სუარესის** ბიჭებმა შანსი ვერ გამოიყენეს. ნათქვამია, არ გაიტან და გაგიტანენო. სწორედ, ასე მოხდა ამ შეხვედრაში. 21-ე წუთზე **სუასომ** წონასწორობა აღადგინა, თუმცა ჩილელთა სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ზუსტად ორ წუთში ბენიტესმა სტატუსკვო აღადგინა. ტაიმის დასრულებამდე დარჩენილ დროში ეკვადორი პრაგმატულად მოქმედებდა. მათი თამაშის შემხედვარე ადამიანი ვერაფრით იფიქრებდა, რომ ეს გუნდი პაექრობას წააგებდა. მეორე ნახევარში გულშემატკივრებმა უშეღავათო ბრძოლა იხილეს. ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა, მაგრამ გოლი დიდხანს არ გავიდა. საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე სუასომ დუბლი შეასრულა და ჩილეს ეროვნული გუნდი უფსკრულიდან ამოაძვრინა. მათ იგრძნეს, რომ მეტი მონდომების შემთხვევაში გამარჯვებაც შეიძლებოდა. ასეც მოხდა. აკოსტას შეგირდებმა დიდი ძალებით შეუტიეს. შეხვედრის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე **ვილიანუევა** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა. შეცვლაზე შესულ ფეხბურთელს მეკარისთვის მიუნვდომელი კუთხის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

ნელსონ აკოსტამ თამაში ასე შეაფასა: "ურთულესი ორთაბრძოლა მოვიგეთ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ნებისმიერ გუნდს შეეძლო კიდევ ერთი გოლის გატანა. საბედნიეროდ, ჩვენ მეტი მონდომება გამოვიჩინეთ და ალბათ, მეტადაც გაგვიმართლა. სასიხარულოა, რომ ტურნირი წარმატებით დავიწყეთ. ეს გამარჯვება მომდევნო შეხვედრებში ენთუზიაზმს შეგვმატებს. სუასომ ფანტასტიკური პაექრობა ჩაატარა. მისი დუბლი გადამწყვეტი აღმოჩნდა, მაგრამ არ მინდა იფიქროთ, მხოლოდ ამ ერთი ფეხბურთელის დამსახურებას ვუსვამ ხაზს. რამდენიმე შეცდომას თუ არ ჩავთლვით, შუახანი საკმაოდ ორგანიზებულად მოქმედებდა. ერთი სტიყვით, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთი კარგი კუთხით წარმოვაჩინეთ. შეგირდებსა და გულშემატკივრებს მადლობას მოვახსენებდი."

ლუის ფერნანდო სუარესმა გამოუყენებელ მომენტებზე გაამახვილა ყურადღება: "ვფიქრობ, უიღბლობისა და ჩვენს მიერვე დაშვებული შეცდომების გამო დავისაჯეთ. ჩემი კოლეგა მართალია - გატანა ჩილესა და ეკვადორსაც შეეძლო. არაერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ახლა ისღა დაგვრჩენია, დღევანდელი წარუმატებლობა დავივიწყოთ და მომდევნო ორი ჯგუფური შეხვედრისთვის მშვიდად მოვემზადოთ. პრაგმატულად და ცივი გონებით უნდა ვითამაშოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლა გაგვიჭირდება. დასამალი არ არის, რომ ძალიან რთულ და ძლიერ მეტოქეებთან შერკინება გველის."

ილია ნიკოლაიშვილი

## ფეხბურთის მოყვარულთათვის!

ლუდის ბარი "ბუდაპეშტი" გთავაზობთ FOOTBALL SHOW-ს დონ ედოსთან ერთად. "კოპა ამერიკისა" და საფეხბურთო სამყაროს სხვა სიახლეები, მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები, ვიქტორინა, პრიზები და უამრავი სიურპრიზი ენერგიული მუსიკის ფონზე. ჩაიძირე ფეხბურთის სამყაროში და დააგემოვნე ქართული და ევროპული სამზარეულო.

დასაწყისი 21 საათზე. მისამართი: ბუდაპეშტის ქ. 7 (საბურთალოზე).

*საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ლელო"*

## კუპერი ერთი წლით დაინიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ **ექტორ კუპერის** მენეჯერმა, **ხულიო პრიეტომ** ესპანურ საინფორმაციო სააგენტოებს განუცხადა, რომ მისი კლიენტი "ბეტისის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას დათანხმდა. არგენტინელმა სპეციალისტმა ანდალუსიურ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სენიორ პრიეტო გარიგებით ძალიან კმაყოფილი დარჩა: *"მოლაპარაკებების პროცესი შესანიშნავად წარიმართა. საერთო ენა იოლად გამოვნახეთ. კუპერი შეთავაზებული პირობებით კმაყოფილი დარჩა. მას პირობა მისცეს, რომ შემადგენლობას გააძლიერებენ და ამბიციურ მიზნებს დაისახავენ. სენიორ ექტორი "ბეტისს" უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად მოამზადებს."*

## რიკელმე და ფორლანი კალდერონზე?

სპმმს ისეთი პირი უჩანს, რომ **ფერნანდო ტორესი** "ატელტიკოს" დატოვებს. ის, სავარაუდოდ, "ლივერპულში" გააგრძელებს კარიერას, ამიტომ "როხიბლანკოს" ხელმძღვანელები იძულებულები არიან, შემადგენლობის გაძლიერებაზე იფიქრონ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდელებმა "ვილიარეალიდან" **დიეგო ფორლანისა** და **ხუან რომან რიკელმეს** ტანდემის გადაბირება გადაწყვიტეს. მოგეხსენებათ, რიკელმემ გასული თვეები იჯარის წესით "ბოკა ხუნიორსში" გაატარა. ბაირესულ გრანდს ის ლიბერტადორესის თასის მოპოვებაში დაეხმარა. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ რომი შეუდარებლად კარგად თამაშობდა. **ენრიკე სერესო** მიზნის მისაღწევად 30 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. "ვილიარეალის" პრეზიდენტის **ფრანსისკო როიგის** პოზიცია ჯერჯერობით, უცნობია.

## ზალცბურგი: ციკლერი 2010 წლამდე

33 წლის გერმანელმა თავდამსხმელმა **ალექსანდერ ციკლერმა** ზალცბურგის "რედ ბულთან" კონტრაქტი ვადამდე ადრე გააგრძელა. ვეტერანი გერმანელი ფორვარდი **ჯოვანი ტრაპატონის** მიერ გაწვრთნილ გუნდში 2010 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ციკლერმა ავსტრიის ჩემპიონატში წლეულს 22 გოლი გაიტანა და იქაური ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, ციკლერი ავსტრიაში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

## დორასომ ლივორნო გააძლიერა

"ლივორნო" აღარ ხუმრობს. **ფრანჩესკო ტავანოსა** და **ფაუსტო როსინის** შემდეგ, კლუბმა "მილანის" ყოფილ ნახევარმცველ **ვიკაშ დორასოს** გაუფორმა კონტრაქტი. ამ უკანასკნელს მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა. სექტემბერში ის "პარი სენ ჟერმენიდან" მიაბრძანეს, რადგან მთავარ მწვრთნელ გი ლაკომბს მატყუარა უწოდა. დორასო 2006 წლის მუნდიალის მონაწილეა, თუმცა ტურნირზე ერთი წუთიც კი არ უთამაშია და მისი დასრულებისთანავე, **რაიმონ დომენეკი** საჯაროდ აშაყირა. 2004-05 წლების სეზონში, ვიკაშმა სერია A-ში 12 მატჩი ჩაატარა.

## ფიფას ახალი გენერალური მდივანი

ფიფას ახალი გენერაური მდივანი ჰყავს. ეს თანამდებობა ფრანგმა **ჟერომ ვალკემ** დაიკავა. ვალკე ახალი სახე არ არის. ის ფიფაში 2003 წელს მივიდა და გასული წლის ბოლომდე მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობდა. ვალკე 2006 წლის დეკემბერში "მასტერქარდსა" და "ვიზასთან" დაკავშირებული საკონტრაქტო სკანდალის გამო გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, წლების განმავლობაში ფიფას სპონსორი მასტერქარდი იყო. შარშან კი ორგანიზაციამ მის უმთავრეს კონკურენტ "ვიზასთან" გააფორმა ხელშეკრულება. "მასტერქარდმა" საკუთარი უფლებები შელახულად მიიჩნია და სასამართლოში იჩივედა. მხარეებმა დავა რამდენიმე კვირის წინ, სხვების ჩაურევლად მოაგვარეს. ფიფა დათანხმდა, ამერიკული კომპანიის სასარგებლოდ 90 მილიონი დოლარის გადახდას. რაც შეეხება ვალკეს, ზეპ ბლატერმა მიმომხილველებს აუწყა, რომ ეს ჯენტლმენი ფიფადან არავის გაუგდია. უბრალოდ, გამოძიების დასრულებამდე მას უფლებამოსილება დროებით ჰქონდა შეჩერებული.

## გერმანია. ბუნდესლიგა 2007/08. კალენდარი

### I ტური

**10 აგვისტო**

შტუტგარტი-შალკე

**11 აგვისტო**

ბაიერნი-ჰანზა
ლევერკუზენი-კოტბუსი
ნიურნბერგი-კარლსრუე
ბოხუმი-ვერდერი
ბორუსია (დ)-დუისბურგი
ჰანოვერი-ჰამბურგი
აინტრახტი-ჰერთა
ვოლფსბურგი-არმინია

### II ტური

**18 აგვისტო**

შალკე-ბორუსია (დ)
ვერდერი-ბაიერნი
ჰამბურგი-ლევერკუზენი
ჰერთა-შტუტგარტი
არმინია-აინტრახტი
კოტბუსი-ბოხუმი
კარლსრუე-ჰანოვერი
ჰანზა-ნიურნბერგი
დუისბურგი-ვოლფსბურგი

### III ტური

**25 აგვისტო**

შტუტგარტი-დუისბურგი
ბაიერნი-ჰანოვერი
ლევერკუზენი-კარლსრუე
ნიურნბერგი-ვერდერი
ბოხუმი-ჰამბურგი
ბორუსია (დ)-კოტბუსი
არმინია-ჰერთა
აინტრახტი-ჰანზა
ვოლფსბურგი-შალკე

### IV ტური

**1 სექტემბერი**

შალკე-ლევერკუზენი
ვერდერი-აინტრახტი
ჰამბურგი-ბაიერნი
ჰერთა-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ბოხუმი
კოტბუსი-ნიურნბერგი
კარლსრუე-შტუტგარტი
ჰანზა-ბორუსია (დ)
დუისბურგი-არმინია

### V ტური

**15 სექტემბერი**

შტუტგარტი-კოტბუსი
ბაიერნი-შალკე
ლევერკუზენი-ბოხუმი
ნიურნბერგი-ჰანოვერი
ბორუსია (დ)-ვერდერი
არმინია-ჰანზა
აინტრახტი-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-კარლსრუე
დუისბურგი-ჰერთა

### VI ტური

**22 სექტემბერი**

შალკე-არმინია
ვერდერი-შტუტგარტი
ჰამბურგი-ნიურნბერგი
ბოხუმი-აინტრახტი
ჰერთა-ბორუსია (დ)
ჰანოვერი-ლევერკუზენი
კოტბუსი-ვოლფსბურგი
კარლსრუე-ბაიერნი
ჰანზა-დუისბურგი

### VII ტური

**26 სექტემბერი**

შტუტგარტი-ბოხუმი
ბაიერნი-კოტბუსი
ნიურნბერგი-ლევერკუზენი
ბორუსია (დ)-ჰამბურგი
ჰერთა-ჰანზა
არმინია-ჰანოვერი
აინტრახტი-კარლსრუე
ვოლფსბურგი-ვერდერი
დუისბურგი-შალკე

### VIII ტური

**29 სექტემბერი**

შალკე-ჰერთა
ვერდერი-არმინია
ლევერკუზენი-ბაიერნი
ჰამბურგი-ვოლფსბურგი
ბოხუმი-ნიურნბერგი
ჰანოვერი-დუისბურგი
კოტბუსი-აინტრახტი
კარლსრუე-ბორუსია (დ)
ჰანზა-შტუტგარტი

### IX ტური

**6 ოქტომბერი**

შტუტგარტი-ჰანოვერი
შალკე-კარლსრუე
ბაიერნი-ნიურნბერგი
ბორუსია (დ)-ბოხუმი
ჰერთა-კოტბუსი
არმინია-ჰამბურგი
აინტრახტი-ლევერკუზენი
ვოლფსბურგი-ჰანზა
დუისბურგი-ვერდერი

### X ტური

**20 ოქტომბერი**

ვერდერი-ჰერთა
ლევერკუზენი-ბორუსია (დ)
ნიურნბერგი-აინტრახტი
ჰამბურგი-შტუტგარტი
ბოხუმი-ბაიერნი
ჰანოვერი-ვოლფსბურგი
კოტბუსი-დუისბურგი
კარლსრუე-არმინია
ჰანზა-შალკე

### XI ტური

**27 ოქტომბერი**

შტუტგარტი-ლევერკუზენი
შალკე-ვერდერი
ბორუსია (დ)-ბაიერნი
ჰერთა-ბოხუმი
არმინია-კოტბუსი
აინტრახტი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი
ჰანზა-კარლსრუე
დუისბურგი-ჰამბურგი

### XII ტური

**3 ნოემბერი**

ვერდერი-ჰანზა
ბაიერნი-აინტრახტი
ლევერკუზენი-არმინია
ნიურნბერგი-შტუტგარტი
ჰამბურგი-ჰერთა
ბოხუმი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ბორუსია (დ)
კოტბუსი-შალკე
კარლსრუე-დუისბურგი

### XIII ტური

**10 ნოემბერი**

შტუტგარტი-ბაიერნი
შალკე-ჰამბურგი
ვერდერი-კარლსრუე
ბორუსია (დ)-აინტრახტი
ჰერთა-ჰანოვერი
არმინია-ნიურნბერგი
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი
ჰანზა-კოტბუსი
დუისბურგი-ბოხუმი

### XIV ტური

**24 ნოემბერი**

ბაიერნი-ვოლფსბურგი
ლევერკუზენი-დუისბურგი
ნიურნბერგი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-ჰანზა
ბოხუმი-არმინია
ჰანოვერი-შალკე
კოტბუსი-ვერდერი
აინტრახტი-შტუტგარტი
კარლსრუე-ჰერთა

### XV ტური

**1 დეკემბერი**

შტუტგარტი-ბორუსია (დ)
შალკე-ბოხუმი
ვერდერი-ჰამბურგი
ჰერთა-ლევერკუზენი
არმინია-ბაიერნი
კოტბუსი-კარლსრუე
ვოლფსბურგი-აინტრახტი
ჰანზა-ჰანოვერი
დუისბურგი-ნიურნბერგი

### XVI ტური

**8 დეკემბერი**

შტუტგარტი-ვოლფსბურგი
ბაიერნი-დუისბურგი
ლევერკუზენი-ჰანზა
ნიურნბერგი-ჰერთა
ჰამბურგი-კოტბუსი
ბოხუმი-კარლსრუე
ბორუსია (დ)-არმინია
ჰანოვერი-ვერდერი
აინტრახტი-შალკე

### XVII ტური

**15 დეკემბერი**

შალკე-ნიურნბერგი
ვერდერი-ლევერკუზენი
ჰერთა-ბაიერნი
არმინია-შტუტგარტი
კოტბუსი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-ბორუსია (დ)
კარლსრუე-ჰამბურგი
ჰანზა-ბოხუმი
დუისბურგი-აინტრახტი

### XVIII ტური

**2 თებერვალი**

შალკე-შტუტგარტი
ჰანზა-ბაიერნი
კოტბუსი-ლევერკუზენი
კარლსრუე-ნიურნბერგი
ვერდერი-ბოხუმი
დუისბურგი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-ჰანოვერი
ჰერთა-აინტრახტი
არმინია-ვოლფსბურგი

### XIX ტური

**9 თებერვალი**

ბორუსია (დ)-შალკე
ბაიერნი-ვერდერი
ლევერკუზენი-ჰამბურგი
შტუტგარტი-ჰერთა
აინტრახტი-არმინია
ბოხუმი-კოტბუსი
ჰანოვერი-კარლსრუე
ნიურნბერგი-ჰანზა
ვოლფსბურგი-დუისბურგი

### XX ტური

**16 თებერვალი**

დუისბურგი-შტუტგარტი
ჰანოვერი-ბაიერნი
კარლსრუე-ლევერკუზენი
ვერდერი-ნიურნბერგი
ჰამბურგი-ბოხუმი
კოტბუსი-ბორუსია (დ)
ჰერთა-არმინია
ჰანზა-აინტრახტი
შალკე-ვოლფსბურგი

### XXI ტური

**23 თებერვალი**

ლევერკუზენი-შალკე
აინტრახტი-ვერდერი
ბაიერნი-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-ჰერთა
ბოხუმი-ჰანოვერი
ნიურნბერგი-კოტბუსი
შტუტგარტი-კარლსრუე
ბორუსია (დ)-ჰანზა
არმინია-დუისბურგი

### XXII ტური

**1 მარტი**

კოტბუსი-შტუტგარტი
შალკე-ბაიერნი
ბოხუმი-ლევერკუზენი
ჰანოვერი-ნიურნბერგი
ვერდერი-ბორუსია (დ)
ჰანზა-არმინია
ჰამბურგი-აინტრახტი
კარლსრუე-ვოლფსბურგი
ჰერთა-დუისბურგი

### XXIII ტური

**8 მარტი**

არმინია-შალკე
შტუტგარტი-ვერდერი
ნიურნბერგი-ჰამბურგი
აინტრახტი-ბოხუმი
ბორუსია (დ)-ჰერთა
ლევერკუზენი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-კოტბუსი
ბაიერნი-კარლსრუე
დუისბურგი-ჰანზა

### XXIV ტური

**15 მარტი**

ბოხუმი-შტუტგარტი
კოტბუსი-ბაიერნი
ლევერკუზენი-ნიურნბერგი
ჰამბურგი-ბორუსია (დ)
ჰანზა-ჰერთა
ჰანოვერი-არმინია
კარლსრუე-აინტრახტი
ვერდერი-ვოლფსბურგი
შალკე-დუისბურგი

### XXV ტური

**22 მარტი**

ჰერთა-შალკე
არმინია-ვერდერი
ბაიერნი-ლევერკუზენი
ვოლფსბურგი-ჰამბურგი
ნიურნბერგი-ბოხუმი
დუისბურგი-ჰანოვერი
აინტრახტი-კოტბუსი
ბორუსია (დ)-კარლსრუე
შტუტგარტი-ჰანზა

### XXVI ტური

**29 მარტი**

ჰანოვერი-შტუტგარტი
კარლსრუე-შალკე
ნიურნბერგი-ბაიერნი
ბოხუმი-ბორუსია (დ)
კოტბუსი-ჰერთა
ჰამბურგი-არმინია
ლევერკუზენი-აინტრახტი
ჰანზა-ვოლფსბურგი
ვერდერი-დუისბურგი

### XXVII ტური

**5 აპრილი**

ჰერთა-ვერდერი
ბორუსია (დ)-ლევერკუზენი
აინტრახტი-ნიურნბერგი
შტუტგარტი-ჰამბურგი
ბაიერნი-ბოხუმი
ვოლფსბურგი-ჰანოვერი
დუისბურგი-კოტბუსი
არმინია-კარლსრუე
შალკე-ჰანზა

### XXVIII ტური

**12 აპრილი**

ლევერკუზენი-შტუტგარტი
ვერდერი-შალკე
ბაიერნი-ბორუსია (დ)
ბოხუმი-ჰერთა
კოტბუსი-არმინია
ჰანოვერი-აინტრახტი
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი
კარლსრუე-ჰანზა
ჰამბურგი-დუისბურგი

### XXIX ტური

**16 აპრილი**

ჰანზა-ვერდერი
აინტრახტი-ბაიერნი
არმინია-ლევერკუზენი
შტუტგარტი-ნიურნბერგი
ჰერთა-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-ბოხუმი
ბორუსია (დ)-ჰანოვერი
შალკე-კოტბუსი
დუისბურგი-კარლსრუე

### XXX ტური

**26 აპრილი**

ბაიერნი-შტუტგარტი
ჰამბურგი-შალკე
კარლსრუე-ვერდერი
აინტრახტი-ბორუსია (დ)
ჰანოვერი-ჰერთა
ნიურნბერგი-არმინია
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი
კოტბუსი-ჰანზა
ბოხუმი-დუისბურგი

### XXXI ტური

**3 მაისი**

ვოლფსბურგი-ბაიერნი
დუისბურგი-ლევერკუზენი
ბორუსია (დ)-ნიურნბერგი
ჰანზა-ჰამბურგი
არმინია-ბოხუმი
შალკე-ჰანოვერი
ვერდერი-კოტბუსი
შტუტგარტი-აინტრახტი
ჰერთა-კარლსრუე

### XXXII ტური

**7 მაისი**

ბორუსია (დ)-შტუტგარტი
ბოხუმი-შალკე
ჰამბურგი-ვერდერი
ლევერკუზენი-ჰერთა
ბაიერნი-არმინია
კარლსრუე-კოტბუსი
აინტრახტი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ჰანზა
ნიურნბერგი-დუისბურგი

### XXXIII ტური

**10 მაისი**

ვოლფსბურგი-შტუტგარტი
დუისბურგი-ბაიერნი
ჰანზა-ლევერკუზენი
ჰერთა-ნიურნბერგი
კოტბუსი-ჰამბურგი
კარლსრუე-ბოხუმი
არმინია-ბორუსია (დ)
ვერდერი-ჰანოვერი
შალკე-აინტრახტი

### XXXIV ტური

**17 მაისი**

ნიურნბერგი-შალკე
ლევერკუზენი-ვერდერი
ბაიერნი-ჰერთა
შტუტგარტი-არმინია
ჰანოვერი-კოტბუსი
ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი
ჰამბურგი-კარლსრუე
ბოხუმი-ჰანზა
აინტრახტი-დუისბურგი

ფეიეენოორდის ახალწვეულები როი მაკაი და კინ პოფლანდი ვოლფსბურგიდან

ტრანსფერი

# მაკაიმ ფეიეენოორდს მიაშურა

## გერდ მიულერის შემდეგ, როი ბაიერნის ყველაზე შედეგიანი ფორვარდი იყო...

მას მერე, რაც გაირკვა, რომ **მიროსლავ კლოზე** კარიერას "ბაიერნში" გაგრძელებდა, ზუსტად 48 საათი იყო გასული, როცა "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს შემდეგი ინფორმაცია: **როი მაკაი** სამშობლოში ბრუნდება. ფეხბურთელი, რომელმაც მიუნხენურ კლუბს 2003 წელს მიაშურა, როტერდამის "ფეიენოორდში" გადადის.

მაშ ასე: ჰოლანდიელმა გოლეადორმა, რომელიც ბავარიელებმა 2003 წელს ლა კორუნიის "დეპორტივოდან" სარეკორდო თანხის, 19.25 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინეს, "ფეიენოორდთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მოგეხსენებათ, მაკაის "ბაიერნთან" კონტრაქტი გაისად უმთავრდებოდა. ამიტომაც ცხადია, რომ ჰოლანდიურმა კლუბმა რეკორდმაისტერს გარკვეული თანხა გადაუხადა, მაგრამ ამ თანხის რაოდენობა არ გახმაურებულა. მიუნხენური გიგანტის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** მაკაის მთელი გუნდის სახელით მადლობა გადაუხადა.

*"როი "ბაიერნის" ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სტატუსით შევა, თუნდაც იმიტომ, რომ რეკორდმაისტერის მაისურით ჩატარებულ 178 შეხვედრაში 102 გოლის გატანა მოახერხა. ანუ, საშუალოდ თამაშში 0.6 გოლი გაჰქონდა. ამაზე უკეთესი მაჩვენებელი კი, გერდ მიულერის შემდეგ არავის ჰქონია. მაკაი მოედანს მილმაც ნაღდი ბავარიელი გახლდათ და საერთოდ, შესანიშნავი პიროვნებაა. დიდი მადლობა მას, "ფეიენოორდში" წარმატებებს ვუსურვებთ,"* - ნათქვამია რუმენიგეს ოფიციალურ განცხადებაში.

როგორც იცით, როცა ბავარიელებმა **ლუკა ტონი** გადაიბირეს, მაკაიმ მაშინვე თქვა, თუ კლოზესაც იყიდიან, გუნდს დავტოვებო. და აი, კლოზეს გადაბირების შემდეგ, მაშინვე "ფეიენოორდს" მიაშურა, გუნდს, რომელსაც **ბერტ ვან მარვიიკი** წვრთნის. თუმცა მაკაი "ბაიერნის" მაისურას ერთხელაც მოირგებს. ეს 15 აგვისტოს, "ბარსელონასთან" ამხანაგურ შეხვედრაში მოხდება. ეს **მეჰმეთ შოლის** გამოსათხოვარი შეხვედრაა და ამავე თამაშში მიუნხენური პუბლიკა მაკაისაც დიდი პატივით გააცილებს.

ლივერპული. ტრანსფერები

# სისოკოს ახალი კონტრაქტი

## ახალწვეულები პორტუგალიიდან და ბულგარეთიდან...

**მოჰამედ სისოკომ** "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის "ენფილდზე" 2011 წლამდე დარჩება. 22 წლის ფეხბურთელი ინგლისში 2005 წელს, ვალენსიიდან გადავიდა. მერსისაიდელებმა მალელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 5.6 მილიონი გირვანქა გადიახადეს. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, მომომ მიმომხილველებს აუწყა, რომ "ლივერპულიდან" აბარგება თავის დღეში აზრად არ მოსვლია.

**რაფა ბენიტესმა** "სპორტინგის" საყრდენ ნახევარმცველ **მიგელ ველოსას** დაადგა თვალი. პორტუგალიური გაზეთი "ა ბოლა" იუწყება, რომ ლივერპულელებმა ბისაბონელებს სარფიანი წინადადებით მიმართეს. ველოსა პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია. მისი შეძენა "არსენალსაც" სურს. "ა ბოლა" მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალებზე არაფერს წერს.

ამასობაში, მერსისაიდელებმა თინეიჯერი ბულგარელი მეკარე **ნიკოლაი მიხაილოვი** შეიძინეს. გუშინ ამ ბიჭს 19 წელი შეუსრულდა. სამედიცინო შემოწმების გავლისთანავე, ის სამწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. მიხაილოვი სოფიის "ლევსკიში" ირიცხებოდა. უცნობია, რა თანხა გადაიხადეს მის ტრანსფერში. ნიკოლაი ბულგარეთის ნაკრების ყოფილი გოლკიპერის, **ბიროსლავ მიხაილოვის** შვილია. მას ეროვნულ გუნდში ერთი თამაში აქვს ჩატარებული. შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში კი "ლევსკის" განაცხადში იმყოფებოდა. ნიკოლაი "ლივერპულის" ძირითადში ვერ მოხვდება. **პეპე რეინას** პოზიციები ურყევია. სამაგიეროდ, მას შეუძლია, **სკოტ კარსონს** მეორე მეკარის წოდებაში შეეცილოს.




მომო სისოკო

ინტერვიუ მიშელ პლატინისთან

# შესარჩევი გავაუქმოთ და ევროპის ჩემპიონატზე 52 ნაკრები ვათამაშოთ

## უეფას პრეზიდენტი ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატს 27 სექტემბერს გამოაქვეყნებს

**უეფას ახალი პრეზიდენტი მიშელ პლატინი დღეს წამყვანი ევროპული ჟურნალ-გაზეთების ხშირი სტუმარია. ფრანგი ჩინოვნიკის მისამართით უამრავი კითხვა დაგროვდა და ზოგიერთ მათგანს, პლატინიმ გერმანული "კიკერის" საშუალებით გასცა პასუხი.**

**- იდეოლოგიის თვალსაზრისით, ვინ უფრო ახლოა თქვენს პიროვნებასთან - სპორტული ფუნქციონერი თუ სპორტული პოლიტიკოსი?**

- მე შევძელი საკუთარ მოქმედებაში სპორტისა და პოლიტიკის გაერთიანება. ყველაფერი ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზეა დამოკიდებული. ჩემთვის უფრო ახლო სპორტული პოლიტიკაა. მაგალითად, ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ როგორი იქნება ფეხბურთი მომავალში.

**- აპრილში თქვენ ევროსაბჭოს კომისარს - ხოსე მანუელ ბაროზოს შეხვდით. როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია პოლიტიკოსების სურვილი, გავლენა იქონიონ ფეხბურთზე და მთლიანად სპორტზე?**

- სინამდვილეში, მათ დიდად არ სურთ, რომ ჩვენს საქმეებში ჩაერიონ. მაგრამ, ჩემი აზრით, პოლიტიკოსები ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდნენ სპორტის განვითარების საქმეს.

**- მაგალითად, დახმარება ევროპულ კლუბებში ლეგიონერთა რაოდენობის შეზღუდვის საკითხში...**

- ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერი ბუნებრივი გზით უნდა მოხდეს, ყოველგვარი საკანონმდებლო გამოგონებებითა და ნოვაციებით. ევროპაში პრიორიტეტულია ნებისმიერი ახალგაზრდა ადამიანისთვის სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევის პრინციპი. სხვა საქმეა, რომ ადრეულ ასაკში, ეს ახალგაზრდები საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი ქალაქის გუნდში უნდა თამაშობდნენ.

**- იქნებ დააკონკრეტოთ.**

- თუ რომელიმე ინგლისური კლუბი 14 წლის გერმანელ ნიჭიერ ახალგაზრდას ყიდულობს, ეს, ჩემი აზრით, ცუდია. 18 წლამდე ტრანსფერები არ უნდა ხორციელდებოდეს.

დღეს, ახალგაზრდა ბიჭებს ძირითადად, გასაყიდად ზრდიან. დავუშვათ პორტუგალიაში, მაგალითად, "ბრაგაში" გამოჩნდა პერსპექტიული 14 წლის ბავშვი. როცა მას 16 წელი უსრულდება, 200 ათას ევროდ "პორტუში" ჰყიდიან. გადის კიდევ ერთი წელიწადი და "პორტუ" წინადადებას იღებს "არსენალისგან". ბიჭი ინგლისში გადადის და ცოტა ხანში, არენაზე გამოდის ჩასაფრებული "ჩელსი". და რა გამოდის: 18 წლის ფეხბურთელმა უკვე 4 კლუბი გამოიცვალა და არცერთის შემადგენლობაში ერთი წუთიც არ უთამაშია! განა, ეს სისულელე არ არის? ვფიქრობ, ჩვენ უნდა მოვნახოთ ახალგაზრდა ფეხბურთელების ადგილზე შენარჩუნების ხერხი, რათა მათ მუდმივი თამაშისა და გამოცდილების მიღების საშუალება ჰქონდეთ. შეიძლება მაშინ, აღარ დაგვჭირდეს ლეგიონერთა ლიმიტის სხვადასხვა ვარიანტებზე ფიქრი.

**- მსგავსი პრობლემები, ხშირად აგენტებთან არის დაკავშირებული...**

- აგენტი ვის ეკუთვნის? მოთამაშეს და არა კლუბს. ამიტომაც, ის კლუბისგან არ უნდა იღებდეს ფულს. მისი შრომის საფასური კლიენტმა, ანუ ფეხბურთელმა უნდა აანაზღაუროს. ისე ნუ გამიგებთ, რომ აგენტების წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, კარგია, როცა 20 წლის ბიჭს გვერდით კონსულტანტი ჰყავს. მე მხოლოდ მათი სამუშაოს ანაზღაურების დამკვიდრებული წესის წინააღმდეგ გამოვდივარ. აი, ამ მხრივ მართლაც ბევრი რამ არის გასარკვევი.

**- ოღონდ, G14 ჯგუფის გარეშე, არა? ამ საკითხში ხომ, იოზეფ ბლატერს უჭერთ მხარს?**

- G14-თან დაკავშირებით უფრო აგრესიული ვარ, ვიდრე ბლატერი! გულწრფელად მჯერა, რომ ამ კლუბების ხელმძღვანელებს ესმით - ჩვენ ისედაც უამრავი პრობლემა გვაქვს, რომ დამატებით კიდევ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვიდგეთ.

**- არსებობს კიდევ ერთი იდეა: სრულიად ევროპისთვის შემოღებულ იქნეს ლეგიონერებზე ლიმიტი ფორმულით - "ექვსი პლუს ხუთი"?**

- საინტერესო საკითხია. ასე გიპასუხებთ: მე, როგორც უეფას პრეზიდენტი, ამ იდეას მხარს დავუჭერ, მაგრამ მის მისაღებად არ ვიბრძოლებ. აგიხსნით, რატომ. ფეხბურთის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება - მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ მისი გადაწყვეტა თანამედროვე ევროპაში ლეგიონერთა რიცხვზე ლიმიტის შემოღებით, შეუძლებელი იქნება. უფრო პერსპექტიულად ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთის განვითარება მესახება.

**- თქვენს მიერ შემაშუვებული ჩემპიონთა ლიგის რეფორმის გეგმა რა სტადიაშია?**

- ლიგის ახალი ფორმატი 27 სექტემბერს, სტამბოლში, უეფას აღმასკომის სხდომაზე გამოქვეყნდება. ის ძალაში 2009 წლიდან შევა.

**- მასში მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის დონის ნაწილობრივ გათანაბრებას ვარაუდობთ...**

- მდიდრები ყოველთვის იმარჯვებდნენ და ვფიქრობ, დადგა მომენტი, როცა არსებულ სიტუაციაში რაიმე შევცვალოთ. მაგრამ სათქმელად იოლია, მაგრამ ცხოვრებაში დასანერგად - რთული. ფეხბურთში შედეგი ყოველთვის ფულზეა დამოკიდებული. 50-იან წლებში იმარჯვებდა "რეალი", რადგან მის თამაშებზე ყველაზე მეტი ხალხი დადიოდა, ამას კი, დიდი შემოსავალი მოჰქონდა. 80-90-იან წლებში იყვნენ "იუვენტუსი" და "მილანი", რომლებსაც მეცენატები - ანიელი და ბერლუსკონი პატრონობდნენ, ან "ბაიერნი", რომელსაც "ადიდასი" ასპონსორებდა. დღეს, მსოფლიოს ტელეთანხები მართავს და მაგალითად, გერმანიამ უკვე მეორე პლანზე გადაინია, ხოლო ბუნდესნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი - მიხაელ ბალაკი ინგლისში მიემგზავრება სათამაშოდ. სადაც ფულია, იქ გამარჯვებებიცაა. დღეს რომ კლუბებს მხოლოდ ორი ლეგიონერით თამაშის უფლება მისცეთ, გამარჯვების შანსი, თითქმის ყველა გუნდს ექნება.

**- თქვენ ამბობდით, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ერთი ქვეყნიდან მაქსიმუმ სამი გუნდი ითამაშებს. აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

- არა. უბრალოდ მინდა, რომ ოდნავ მაინც გავათანაბრო ეს ტურნირი. ჯერ ადრეა რაიმეზე გადაჭრით საუბარი, მაგრამ ჩემი ფილოსოფია ასეთია - "პატარა" ქვეყნის ჩემპიონი ტოპ-ჩემპიონატის მეოთხე წარმომადგენელზე მეტ პრივილეგიას მიიღებს.

**- ამით თქვენ გინდათ ფულის ნაკადს მიმართულება შეუცვალოთ და "პატარა" კლუბები გააძლიეროთ. ასე არ არის?**

- ეს უდიდესი პრობლემაა. ფული ყველას უნდა - დიდებს, საშუალოებს, პატარებს... და ეს სწორედ ევროპული ტურნირების წყალობით უნდა მოხერხდეს.

**- ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს. ამით კმაყოფილი ხართ?**

- რა თქმა უნდა. რა არის დიდ ფულში ცუდი, თუ ის ფეხბურთის განვითარებას ხმარდება?! არ ვიღლები ერთი და იგივეს გამეორებით, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ თამაში - წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, 20 წლის შემდეგ ფეხბურთმა არსებობა შეწყვიტოს. ბევრი ფული - ეს არის მეტი პოპულარობა, სანახაობა, დაძაბულობა, მაგრამ ამავდროულად, მეტი კორუფცია და პრობლემა. ასე არ არის?

**- შემაშფოთებელად ხომ არ გეჩვენებათ ის ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სულ უფრო და უფრო მეტი კლუბი ხვდება ოლიგარქთა ხელში?**

- მესმის რასაც გულისხმობთ. მაგრამ აღრე რატომ არ წარმოიშვებოდა ასეთი კითხვები. იმ დროზე გეუბნებით, როცა ანიელი "იუვენტუსს" ყიდულობდა, ბერლუსკონი - "მილანს" ან მორატი - "ინტერს"? ჩემი აზრით, ამ გარიგებებსა და აბრამოვიჩის მიერ "ჩელსის" შეძენაში არანაირი სხვაობა არ არსებობს. ბევრი კითხულობს: დასაშვებია თუ არა, რომ რუსი ინგლისური კლუბის მფლობელი ხდება ან ამერიკელი - იტალიური კლუბისა? შეიძლება კი, შეიძლება - არა. ეს უკვე ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის პრობლემაა. თუ ბრიტანეთის პარლამენტი მიიღებს კანონს, რომელიც უცხოელებს ინგლისური კლუბების შეძენას აუკრძალავს, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. პირადად მე, ყველაზე მეტად ესპანური სისტემა მომწონს: იქ პრეზიდენტს კლუბის წევრები, ანუ გულშემატკივრები ირჩევენ.

**- მაგრამ, პრეზიდენტი ყოველთვის არ არის კლუბის მფლობელი...**

- და მაინც, გულშემატკივრების, ანუ მათ აზრს, ვისთვისაც კლუბი არსებობს, ნებისმიერ შემთხვევაში დიდი წონა აქვს. თავად გესმით, რომ "ბარსელონას" წევრები არაფრის დიდებით არ დაუჭერენ მხარს უცხო და მათთვის მიუღებელ კანდიდატს. ასე არის დაცული კლუბის თვითმყოფადობა, ეს კი, როგორც იცით, გადამწყვეტი ფაქტორია მის პოპულარობაში. ერთი საქმეა, თუ მაგალითად, "ბაიერნის" რიგებში ექვსი ხორვატი და ხუთი მოლდოველი გამოვა სათამაშოდ და სულ სხვაა, თუ შემადგენლობა, ძირითადად ბავარიელებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, გერმანელებით იქნება დაკომპლექტებული. მოაშორეთ "მილანს" იტალიელი ფეხბურთელები, გაუშვით იტალიელი მწვრთნელი, მოიყვანეთ უცხოელი - და რა დარჩება? რა აზრი აქვს ასეთი გუნდის იტალიაში თამაშს და რა საჭიროა, რომ მას "მილანი" ერქვას.

**- უეფას თასის რეფორმაც არ უნდა იყოს შორეული პერსპექტივა?**

- ის იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც ეს კლუბებს წარმოუდგენიათ. 2009 წელს, 12 ჯგუფში 4-4 გუნდი ითამაშებს.

**- ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე კლუბი კვლავ უეფას თასზე გადაინაცვლებს?**

- ეს საკითხი ჯერ ღიად არის დარჩენილი. იდეოლოგიურად, ეს ვარიანტი არც ისე სამართლიანია. მაგრამ, ტურნირს დამატებით ელფერს რომ სძენს, ესეც ფაქტია.

**- არსებობს წინადადებები იმის შესახებ, რომ ეს ორი შეჯიბრება ერთ დიდ ტურნირად გაერთიანდეს,**



მიშელ პლატინი

**რომელიც გარკვეული ეტაპიდან ორად გაიყოფა: საუკეთესოები ბრძოლას ჩემპიონთა ლიგაზე გააგრძელებენ, დანარჩენები - უეფას თასზე.**

- ვიცი ამ პროექტის შესახებ. შესაძლოა, ეს იდეა არ იყოს საღ აზრზს მოკლებული, მაგრამ უეფამ შესაძლოა თავისი შემოსავლის დიდი ნაწილი დაკარგოს, რომელიც ჩემპიონთა ლიგას მოაქვს. ეს კი, მთელს ევროპულ ფეხბურთს მიაყენებს ზიანს. ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამომუშავებული თანხები ხომ ეროვნული ფედერაციების განვითარებასა და სხვადასხვა საფეხბურთო პროექტებს ხმარდება.

**- თქვენ უეფას პრეზიდენტი, ძირითადად, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან მიღებული ხმებით გახდით. როგორ გგონიათ, პოლონეთი და უკრაინა მიიღებდნენ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას, არჩევნები თქვენს კონკურენტს რომ მოეგო?**

- აუცილებლად მიიღებდნენ! ამაში ეჭვი არ მეპარება.

**- რა იყო ამ ორი ქვეყნის უპირატესობა, თუ გდანსკსა და დონეცკს შორის მანძილი დაახლოებით 2 ათას კილომეტრს უდრის?**

- ყველას ესმის, რომ ახლა უფრო მეტი პრობლემა გვექნება, ვიდრე ტურნირი ერთ ქვეყანაში რომ ჩატარებულიყო. მაგრამ ეს საინტერესოა - დავაახლოვოთ ეს ქვეყნები ფეხბურთთან, დემოკრატიასთან, სხვა ქვეყნების ფედერაციებთან. შესაძლოა, ჩემპიონატი იტალიაში რომ გამართულიყო, ჩვენ ნაკლები სამუშაო გვექნებოდა ჩასატარებელი, მაგრამ ახალი გამონვევა ხომ საინტერესო და დამაინტრიგებელია... პოლონეთსა და უკრაინას ევროპის აღმოჩენისა და თავიანთი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საშუალება ეძლევათ. გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ქვეყნებში, ჯამში 85 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, როგორც გერმანიაში.

**- ემხრობით თუ არა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა რიცხვის 16-დან 24 ნაკრებამდე გაზრდის იდეას?**

- კარგი კითხვაა, მაგრამ მასზე პასუხი ჯერ არ გამაჩნია. ეს ძალიან სერიოზული ნაბიჯია, რომელიც ყოველმხრივ განხილვას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ბევრი ეროვნული ფედერაცია ამ იდეას მიესალმება - ასეთი ფორმატი, მათ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის მეტ შანსს მისცემს. უეფაში 52 ქვეყანაა, 24 - თითქმის ნახევარია და გამოდის, არანაირი შესარჩევი ჯგუფები აღარ დაგვჭირდება და გუნდები საგზურებს შინ და გარეთ ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ მოიპოვებენ. მაგრამ ვინ დადებს თავს იმაზე, რომ ეს კარგი იქნება თავად ჩემპიონატისა და უეფასთვის? დღეს ჩვენ პირველობას 24 გუნდამდე გავაფართოვებთ, ხვალ კი, საერთოდ გავაუქმებთ საკვალიფიკაციო ტურნირს და მოვაწყობთ შეჯიბრს, რომელშიც 52 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას...

**გიორგი თვალია**

## კამორანეზის ნული იუვეში რჩება

**მაურო ხერმან კამორანეზი** "იუვენტუსთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. მოლაპარაკებები რამდენიმე თვეა, გრძელდება. ინტენსიურად საუბრობდნენ ნახევარმცველის მოსალოდნელი აბარგების შესახებაც. მაგრამ საბოლოოდ მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ. ეს ინფორმაცია კამორანეზის აგენტმა გაავრცელა, თუმცა დეტალების გამხელისგან თავი შეიკავა. რამდენიმე დღის წინ "იუვეს" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** მაურო ხერმანს "ბებერი ქალბატონის" ერთ-ერთი საკვანძო მოთამამძე უწოდა. კამომ მას საჯაროდ გადაუხადა მადლობა ასეთი სიტყვებისათვის.

## ფერგი მეკარეს არგენტინაში ეძებს

"მანჩესტერ იუნაიტედი" არგენტინელი მეკარეებით დაინტერესდა. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების გოლკიპერმა **ბენ ფოსტერმა** მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მინდორს რამდენიმე თვით გამოეთხოვა. **სერ ალექს ფერგიუსონმა** სამხრეთ ამერიკაში ემისრები აფრინა. მათ რიგერ პლეიტისა და ინდეპენდიენტეს კარის დარაჯებს, **ხუან პაბლო კარისოსა** და **ოსკარ უსტარის** გაუწიეს რეკომენდაცია. სხვათა შორის, კარისოზე "ლაციოც" აცხადებს პრეტენზიას. იტალიელები პენსიაში გასული **ანჯელო პერუცის** შემცვლელს ეძებენ.

## გალეტი ატლეტიკოდან მიდის

მადრიდის "ატლეტიკო" ოლიმპიაკოსში ყიდის არგენტინელ ნახევარმცველს **ლუსიანო გალეტის**. 26 წლის ფეხბურთელმა მადრიდულ კლუბს 2005 წლის ზაფხულში მიაშურა. იქამდე ის "სარაგოსაში" თამაშობდა. მას "ატლეტიკოსთან" კონტრაქტი გაისად ივნისში ეწერება. გარიგების ღირებულება 2.5 მილიონ ევროს შეადგენს. "ოლიმპიაკოსთან" სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ გამორიცხული არ არის, ბოლო მომენტში რაღაც შეიცვალოს. სარაგოსელებს გალეტის დაბრუნების იმედი არ დაუკარგავთ. ლუსიანომ გასულ სეზონში თითქმის ყველა მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა და ოთხი გოლი შეაგდო.

## ქალი გერმანიის პროფესიულ ფეხბურთში

პირველად გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ქალბატონი მამაკაცთა პროფესიულ ფეხბურთში იმსაჯება. საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილებით, 28 წლის ჰანნოვერელ **ბიბიანა შტაინჰაუზს** უფლება მიეცა, მეორე ბუნდესლიგის თამაშები განსაჯოს. ფრაუ შტაინჰაუზი ყოფილი ფეხბურთელია. ამავე დროს ის პოლიციის ოფიცერი გახლავთ. რამდენიმე წლის განმავლობაში ბიბიანა რეგიონული ლიგების თამაშებს უძღვებოდა. მომავალი სეზონიდან კი უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

## ლაციომ ედერსონი მოიკითხა

"ლაციო" ფრანგული "ნიცის" ნახევარმცველით **ედერსონით** დაინტერესდა. ეს უკანასკნელი 21 წლისაა და საოცარი სიზუსტით ასრულებს საჯარიმოებს. ბრაზილიელ ყმაწვილს მისსავე თანამემამულეს, ლიონელ **ჟუნინიო პერნამბუკანოს** ადარებენ. იანვრის ტრანსფერებისას მან "იუვენტუსის" ყურადღებაც მიიპყრო. ახლა კი ედერსონს რომში ეპატიჟებიან. ფეხბურთელს ნიცელებთან კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. ხელშეკრულების თანახმად, თუ დაინტერესებული მხარე 8 მილიონ ევროს გადაიხდის, მას ავტომატურად გაუშვებენ. ედერსონს "რომა", "ვალენსია" და "ლიონიც" აკვირებიან.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

**ჰაღათბურთი**

20-წლამდელთა ნაკრები

## ცუდი დასაწყისი

გუშინ საღამოს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინაში პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და თანატოლებთან 61:82 დამარცხდა. შეხვედრის ზოგად სურათზე წარმოდგენა ანგარიშის გაცნობისასაც შეგექმნებოდათ, მაგრამ უმჯობესია, ნაკრების თავკაცს **დავით უსტიაშვილს** მოვუსმინოთ:

*"უკრაინელებს შარშან B დივიზიონში ვეთამაშეთ და დავამარცხეთ. მათ წელს გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავთ და ასეთი მეტოქის წინააღმდეგ თამაში ბიჭებს თავიდანვე გაუჭირდათ. პირველ ტაიმში უკრაინელებმა ბევრ კომპონენტში გვაჯობეს და დიდი სხვაობითაც მოგვიგეს. მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ თამაშის დალაგება შევძელით და მეორე ნახევარში 5 ქულის სხვაობით ვიმარჯვეთ. თუმცა ეს საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ზოგიერთი კალათბურთელისთვის ეს პირველი საერთაშორისო მატჩი იყო და იმედი მაქვს, მომდევნო შეხვედრებში მასპინძლებს უფრო თამამად ვეთამაშებით. ამ მატჩიდან ვერავის გამოვყოფ, ყველა თანაბრად გაისარჯა".*

მეორე მატჩს საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებები დღეს, თბილისის დროით 17 საათზე ჩაატარებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

### მონტეპასკის შემადგენლობაში ცვლილებაა:

## ბოისას ნაცვლად მეტრეველი...

**ვლადიმერ ბოისა** სიენის "მონტეპასკის" დატოვებას რომ აპირებს, გუშინდელ ნომერში დავწერეთ. თუმცა ეს ინფორმაცია იტალიურ წყაროებში ჯერ არ გაჟღერებულა. სამაგიეროდ, "მონტეპასკის" ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციათა გრაფაში, ერთ-ერთ სათაურში მეორე ქართველია მოხსენიებული: **"ნიკა მეტრეველი "მონტეპასკის" გააძლიერებს".**



ნიკა მეტრეველი

მოდით, ჯერ ამ ინფორმაციის თარგმანს შემოგთავაზებთ: *"სიენელთა შემადგენლობაში ჩაირიცხა ახალგაზრდა, პერსპექტიული ქართველი მეფარე ნიკა მეტრეველი, რომელიც გასულ სეზონში "რიმინი კრაპსში" თამაშობდა. ის თავის ასაკში ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემ ჭაბუკად ითვლება. შარშან B დივიზიონში კადეტთა შორის საუკეთესო ცენტრად დასახელდა. თუმცა მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც კარგად შეუძლია თამაში. მეტრეველი გაისად "მონტეპასკის" 18-წლამდელთა გუნდში ითამაშებს".*

რიმინიდან სიენაში გადაბარგება ქართველი ახალგაზარდისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან "მონტეპასკის" იტალიაში საუკეთესო ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. აპრილში სიენელთა 20-წლამდელებმა ევროლიგის ფინალურ ოთხეულში ითამაშეს. ჩვენი ინფორმაციით, "მონტეპასკის" მეტრეველი სწორედ ევროლიგისთვის უნდა ეთხოვა, მაგრამ აპრილში ქართველმა სიენელთა მაისურის მორგება ვერ მოასწრო. ჰოდა, ცოტაც მოითმინა და სულაც კონტრაქტი გააფორმა. თუმცალა ხელშეკრულების პირობებსა და ხანგრძლივობაზე იტალიელები არ საუბრობენ. ცნობისთვის, ქართველი კადეტები ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს მეტრეველის გარეშე ითამაშებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ჩოგბურთი** ჯეოსელის თასი

საჩოგბურთო სეზონი კარგა გვარიანად გახურებულია და მოსაწყენად ქომაგს არ სცალია: ნებავს უიმბლდონს უცქერს, ნებავს შედარებით დაბალი რანგის ტურნირზე მოიკლავს საჩოგბურთო წყურვილს. ქართველებს, ძირითადად, ტელევიზიით გვინევს დიდი ჩოგბურთის დაგემოვნება, მაგრამ არც ეს არის ცუდი. იცოცხლე, კარგია, ჩვენშიც იმართებოდეს მასტერსის ტურნირები, მაგრამ რას იზამ - რაც გვაქვს, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენში კი, საჩოგბურთო გვალვაა, ვერ იტყვი. აქაც რამდენჯერმე შეივსო ცენტრალური კორტები და ხან ახალგაზრდებმა იქნიეს ჩოგანი და ხანაც ვეტერან-მოყვარულებმა. ქართული მასშტაბით უძლიერესი გათამაშებები ჯერაც წინ გველის. იქამდე კიდევ ერთი ტურნირის დაწყება უნდა ვაცნობოთ მკითხველს. ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დღეს სტარტს აიღებს კომპანია "ჯეოსელის" სახელობის თასის გათამაშება, რომელშიც, პროფესიონალების გარდა, ყველა მონაწილეობს, ვისაც თამაშის ეშხი, სურვილი და შესაძლებლობა აქვს და არც საწევრო 50 ლარი შეუკუმშავს უსიამოვნოდ გულს. ოფიციალურად კი, ტურნირს ბიზნესმენთა და მოყვარულთა ტურნირი ეწოდება.

"ჯეოსელი" საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის დიდი ხნის პარტნიორია და ასეთ ტურნირს ტრადიციულად ატარებს. როგორც თავმოყვარე ორგანიზაციებს შეშვენით, წინა დღით მასმედიის წარმომადგენლებს შეგვეხმიანენ და პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს. სადაც ქალბატონები - ლეილა მესხი და "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ირმა ცქიტიშვილი ვიხილეთ...

ლეილა მესხი და ირმა ცქიტიშვილი

## ჯეოსელური სიურპრიზებით

თავდაპირველად, სიტყვა **ლეილა მესხმა** წარმოთქვა:

- "ჯეოსელის" თასის გათამაშების პრესტიჟი ყოველწლიურად იზრდება, რაზეც მონაწილეთა რაოდენობაც მეტყველებს. ამ წუთისთვის, თამაშის სურვილი დაახლოებით 70-მა ადამიანმა გამოთქვა. შეიძლება, ამ რიცხვმა ბევრად იმატოს, რადგან რეგისტრაცია 29 ივნისს შეწყდება...

ტურნირის პრესტიჟის ზრდამ უცხოელი ბიზნესმენები და მოყვარულებიც დაინტერესა, რამაც გვაფიქრებინა, რომ გათამაშება საერთაშორისო გავხადოთ. ამ საქმეში "ჯეოსელიც" თანამოაზრეა და, ალბათ, მომავალ წელს სტატუსს გავზრდით. მადლობა მინდა გადავუხადო "ჯეოსელს" თანადგომისთვის, ასევე, კომპანიებს "კოკა-კოლას", "ბორჯომს", "რონიკოსა" და "შერატონ მეტეხი პალასს".

**ირმა ცქიტიშვილი**: - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა და ღრმად გვწამს, რომ ამით ხელს ვუწყობთ საქართველოში ჩოგბურთის განვითარებას. ჩოგბურთის თანადგომა კომპანიის კორპორაციული ბიზნესგეგმის ნაწილია. ჩვენთან უამრავი ზარი შემოდის და საჩოგბურთო თემებზე პასუხების გაცემა გვინევს - გამოდის, რომ ჩოგბურთი კომუნიკაციის კარგი საშუალებაცაა. სამწუხაროდ, ჩემი საჩოგბურთო კომპეტენცია არასაკმარისია ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად, ამიტომ, „დაინტერესებულთ ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართს ვაძლევდი. მთავარი მაინც ის არის, რომ მოსახლეობაში დიდი ინტერესია და მათი დიდი ნაწილი "ჯეოსელის" აბონენტია. წლევანდელ ტურნირში ჩვენმა კომპანიამ სხვადასხვა პრიზი დააწესა. გეტყვით, რომ გასულ წლებთან შედარებით, საპრიზო ფონდი გავზარდეთ და საჩუქრებიც ორიგინალური, ასე ვთქვათ, ჯეოსელური იქნება. ცხადია, ჯერ ვერ გაგიმხელთ და სიურპრიზად დავიტოვებთ.

ბოლოს კვლავ ქალბატონმა ლეილამ ითხოვა სიტყვა:

- წელს კომპანია "ჯეოსელს" 10 წელიწადი შეუსრულდა. ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ იუბილეს. დავამატებ მხოლოდ ერთს: ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდება - 45 წლამდე და 45 წლის ზემოთ. პროფესიონალები მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიშვებიან და ეს იქნება შერეულ წყვილებში. სხვა შემთხვევაში მხოლოდ მოყვარულები ითამაშებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

### დევიძე ურეიტინგოსთან ნააგო

ამერიკის ქალაქ ედმონდის მცირე საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) 21 წლის **სალომე დევიძე** მეშვიდე ნომრად განთესეს. სალომეს კარიერის რეგრესი ედმონდში კიდევ ერთხელ გამოჩნდა: მან პირველ წრეში ურეიტინგო ამერიკელ **ნატალი ფრეზიერთან** ნააგო - 5:7, 3:6. ფრეზიერი ტურნირის ბადეში "უაილდ ქარდით" მოხვდა. სალომე დევიძე წყვილთა თანრიგშიც დამარცხდა. ქართველი და ვენესუელელი **მარიანა მუჩი-ტორესი** ტურნირის პირველი ნომრები იყვნენ, თუმცა პირველ წრეში პერუელ **კასტელვისა** და ამერიკელ **ნგუიენთან** წაგეს - 4:6, 1:6.

### კალაშნიკოვა მეოთხედფინალშია

ბრიტანულ როუჰემპტონში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი გრძელდება. ასპარეზობა ბალახის კორტებზე იმართება და უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის გენერალური რეპეტიციაა. 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც მე-13 ნომრად იყო განთესილი, პირველივე წრეში მოულოდნელად დამარცხდა ხორვატ **იასმინა ტინჯიჩთან**, რომელიც უკვე ნახევარფინალშია გასული. წყვილებში ოქსანამ და რუმინელმა **ირინა ბეგუმ** პირველ წრეში იოლად იმარჯვეს ბულგარელ **ნაიდენოვასა** და სლოვაკ **ტაბაკოვასთან** - 4:1, 4:0. კალაშნიკოვამ და ბეგუმ კიდევ ერთ წყვილსაც (**ჰალეპი, რუსი**) იოლად მოუგეს - 4:1, 4:2. ოქსანა უკვე მეოთხედფინალშია. ალბათ, გაგიკვირდებათ უცნაური საჩოგბურთო ანგარიშები. საქმე ისაა, რომ როუჰემპტონის ტურნირი წვიმების გამო ორი დღის დაგვიანებით დაიწყო და ახლა ყველაფერი დაჩქარებული წესით მიმდინარეობს, რათა უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე ფინალები მოესწროს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მშვილდოსნობა**

ქალთა ნაკრები

## ლაიფციგში, ლიცენზიებისთვის

ამ საღამოს, მშვილდოსან ქალთა ნაკრები ერთკვირიან შეკრებაზე გერმანიაში გაფრინდება, 7-15 ივლისს კი ლაიფციგში მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა. იქ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება. ამ მნიშვნელოვან ტურნირში საქართველოდან **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე** იასპარეზებენ.

ნაკრები აქამდე ძირითადად შუახევში ვარჯიშობდა, სადაც მოსამზადებლად მშვენიერი პირობებია. ბოლო გამოსაცდელი ტურნირიც იქ ჩატარდა სპორტსკოლის მოედანზე და საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპიც გუნდის თავკაცმა **თამაზ ფუტკარაძემ** იქ ვარჯიშიც მას შემდეგ გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ იქაურობა უფრო ქარიანია, ვიდრე ანგისას სასროლეთი, სადაც ძირითადად ემზადებიან ხოლმე. აჭარის მაღალმთიანეთიც იმიტომ არჩიეს, რომ უცხოეთში კლიმატურ პირობებს უფრო იოლად შეეგუონ.

იმედია, შუახევი ქართული მშვილდოსნობის რუკაზე ახალი კერა გახდება, ვინაიდან თავად თამაზ ფუტკარაძეც იქ აპირებს ბათუმიდან გადაბარგებას. ის წარმოშობით სწორედ შუახევიდანაა და მიაჩნია, რომ ბათუმში უკვე გაიზარდა მწვრთნელთა ისეთი თაობა, რომელიც მის დაწყებულ საქმეს წარმატებით გააგრძელებს, თავად კი შუახევში შეუდგება სპორტის ამ უძველესი სახეობის აღორძინებას. იქ უკვე ფუნქციონირებს მშვილდოსნობის სექცია. შუახევში საქართველოს თასის გათამაშების ეტაპიც რაიონში მშვილდოსნობის პოპულარიზაციის მიზნით ჩაატარეს.

მსოფლიო ჩემპიონატი წლეულს ცოტა განსხვავებული სისტემით ტარდება. ადრე თუ ფლეი ოფში 64 მონაწილე გადიოდა, ამჯერად 128 ჩაებმება. თანაც, ადრე თუ ლიცენზიას 64-ვე იღებდა, ახლა მხოლოდ 40-ს გადაეცემა. ამბობდნენ, რომ ამჯერად საგზურს 46 მიიღებდა, მაგრამ ბოლო მონაცემებით, ეს ციფრი 40-მდე შემცირდა. მოკლედ, ლიცენზიის მოსაპოვებლად ფლეი ოფში ორი წრე უნდა გაიარო. ამით ლიცენზიების უმეტესობა გაიცემა კიდეც. გაისად რეგიონალურ ფედერაციებს მხოლოდ თითოოროლა საგზური დარჩებათ.

სიახლეა ისიც, რომ გუნდში მხოლოდ სამი მონაწილე უნდა იყოს. ადრე სათადარიგო სპორტსმენის წაყვანაც შეიძლებოდა, ახლა ესეც აკრძალეს. თუმცა ეს სამი მონაწილე გუნდურ პირველობაშიც გამოვა. ერთი ეგაა, ფლეი ოფში მოსახვედრად საუკეთესო 16 ნაკრებში უნდა მოხვდნენ. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თუ სამივე მოიპოვებს საგზურს, გუნდურში ოლიმპიადაზეც ექნებათ გამოსვლის შანსი.

საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციისა თუ ნაკრების თავკაცთა გადაწყვეტილებით, მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოდან მხოლოდ ქალთა ნაკრები იასპარეზებს. სამწუხაროდ, ვაჟთა ნაკრების შედეგები იმდენად დაბალი და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა, მისი წაყვანა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

8 ივლისს ოფიციალური ვარჯიშია, 9-ში კი ქალთა საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება. ფლეი ოფები 11-12 ივლისსაა დანიშნული, 13-14-ში გუნდური ასპარეზობებია, მედალოსნები კი 15-ში გამოვლინდებიან.

**ირაკლი თავაძე**

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲠᲘᲖᲘ

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲗᲐᲜ

# ᲡᲐᲛᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲪᲮᲔᲚ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ...

## ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

**- 6-15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ,** ბელგრადთან ახლოს მდებარე ქალაქ სამბორაში, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება. შესაბამისად, ახლა ძირითადი ყურადღება ახალგაზრდულ ნაკრებზე გვაქვს გადატანილი. წლეულს, გუნდმა ორ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა უკრაინაში. ამას გარდა, ჩავატარეთ საქართველოს პირველობაც. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობის დაკომპლექტებაში, ბოლო ნაბიჯი ახლახან გადავდგით. ნაკრები გლდანში, დუნდუების კრივის დარბაზში გადის თვრამეტდღიან დასკვნით შეკრებას, სადაც საკონტროლო ორთაბრძოლებიც გავმართეთ საკამათო წონით კატეგორიებში. საბოლოოდ, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბეჟან ჭიჭინავამ გადაწყვიტა, რომ ბელგრადში ექვსკაციან შემადგენლობას წაიყვანს. მისი რჩეულების სია ასეთია: კახა ლაზარაშვილი (54 კგ), ამირან ჯანჯღლავა (60), გიორგი ხუტაშვილი (64), გაგა ელიაშვილი (69), გიორგი დოლენჯაშვილი (75) და დავით გოგიშვილი (81).

**- დანარჩენ წონით კატეგორიებში რატომ არავინ მიგყავთ? ამასთან, ჯანჯღლავამ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე არტიომ კულახსზიანთან წააგო...**

- სხვა წონებში, არ გვყავს ისეთი მოკრივეები, რომ სერიოზულ შედეგებს ველოდოთ. ასეთი დონის შეჯიბრებაზე რომ წავიყვანოთ, ამისთვის ცოტა უფრო კარგად უნდა იყვნენ მომზადებულები. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვი საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ჩემპიონატების მომგებ მერაბ თურქაძეზე (51 კგ), რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ მიგვყავს ევროპის ჩემპიონატზე. რაც შეეხება კულახსზიანს, საქართველოს ჩემპიონატზე კი მოუგო უშუალო კონკურენტს, მაგრამ ახლახან გამართულ საკონტროლო მატჩებში, ჯანჯღლავამ დაამარცხა. მოკლედ, ამ ეტაპზე, ჯანჯღლავა კულახსზიანზე უკეთეს ფორმაშია. საერთო ჯამში, ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ დიდი იმედებით მივდივართ. კარგი შემადგენლობა გვეყოლება და ორ-სამ მედალს ველით. სერბეთში მიგვყავს ჩვენი მსაჯიც – საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ზურაბ ტიბუა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სამი წელიწადია, რაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე არ უასპარეზია. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილის ძალისხმევით, ნავსი გატყდა და ამიერიდან, ამ გუნდს სერიოზულად მივხედავთ.

**- კადეტთა ნაკრებზე გადავიდეთ. როდის დაიწყებს გუნდი მსოფლიო პირველობისთვის სამზადისს?**

- ამ ასაკში, მსოფლიო ჩემპიონატი 23 აგვისტოს დაიწყება ბაქოში. 25 ივლისიდან, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი შეგირდებს შეკრებს და გუნდი საქართველოში მოემზადება. როოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატზე უფრო დიდი ამბიციები გვაქვს, ვიდრე ახალგაზრდულ ევროპის პირველობაზე. კადეტთა გუნდში ხომ მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედი ვერცხლის პრიზიორი ზაალ კვაჭატაძე გვყავს. ამავე გუნდში გადმოგვყავს მოსწავლეთა შარშანდელი ევროპის ჩემპიონი ჯაბა ხოსიტაშვილი. ამას გარდა, კიდევ გვყავს რამდენიმე მოკრივე, რომელთაც ბაქოში წარმატებების მიღწევა შეუძლიათ.



ვლადიმერ ახალკაცი

**საქართველოს კრივის ფედერაცია გამალებულ სამზადისშია. ჩვენი კრივის მამებს, შუა ზაფხულის ხვატში, ერთბაშად სამი ნაკრები გუნდის მზადებაზე უწევთ ზრუნვა. ახალგაზრდულს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოადგა კარს, რასაც კადეტთა მსოფლიო პირველობა მოჰყვება. ოქტომბერში კი, ეროვნული ნაკრები წარდგება პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე. სანაკრებო ბატალიებზე გვესაუბრება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი.**

**- დასასრულ, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. რა გეგმები გაქვთ საშემოდგომო მსოფლიო ჩემპიონატამდე?**

- პირველ ივლისს, ეროვნული ნაკრები მინსკში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც ჯერ ათდღიან შეკრებას ვგეგმავდით, მერე კი იქვე გასამართ საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლას. სამწუხაროდ, ბელარუსებმა შეკრებაზე უარი გვითხრეს, რადგან იქ ძალიან ბევრი გუნდი ჩადის და საკმაოდ მჭიდრო გრაფიკი აქვთ. ანალოგიური მიზეზის გამო, მინსკის ტურნირზე მიგვყავს მხოლოდ შვიდი მოკრივე: ზვიად ხადური (48), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), გიორგი ნაკანი (75), დავით წიკლაური (81) და ბექა ლობჟანიძე (+91). ამას გარდა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ აგვისტოს დასაწყისში, ბაქოში ჩავალთ, სადაც შეკრებას გავივლით მასპინძლების, ყაზახებისა და უზბეკების უძლიერეს ნაკრებებთან. იქვე, სამივე ქვეყანასთან გუნდურ მატჩებს ჩავატარებთ. ჯერჯერობით, გადაწყვეტილი მხოლოდ ეს არის, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის გადადებამ, ყველა ქვეყანას აურია მოსამზადებელი გრაფიკი და ისინიც გზა და გზა აყალიბებენ სამომავლო გეგმებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ახლახან, რუსეთის კრივის ფედერაციამ, ჩაატარა რიგგარეშე ყრილობა, სადაც ახალი პრეზიდენტი აირჩია. ევროპის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ედუარდ ჰუსაინოვი შეცვალა ვლადიმერ პუტინის დაცვის უფროსმა ევგენი მუროვმა. ჩვენი ინფორმაციით, პუტინი იმას აღუშფოთებია, რომ მოსკოვს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ჩამოართვეს და შეჯიბრება ამერიკაში გადაიტანეს. მოკლედ, როგორც გავიგეთ, გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯებს ჰქონდა ადგილი. ასეა თუ ისე, მუროვს საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიმედოვნებ, რუსეთის კრივის ფედერაციასთან კვლავ მეგობრული ურთიერთობა გვექნება. მსოფლიო ჩემპიონატამდე, რუსეთში ვაპირებდით შეკრების გავლას და ამაზე ახლა ახალ პრეზიდენტთან მოგვიწევს მოლაპარაკება.

**- კონსტანტინე კუპატაძე ნაკრებს დაუბრუნდა. აქვს შანსი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობაში ადგილი მოიპოვოს?**

- კუპატაძე საკმაოდ მაღალი დონის სპორტსმენია და მისი დაბრუნება, რაღა თქმა უნდა, სასიამოვნოა. თუმცა, წლეულს, საკმაოდ ბევრი გაუცდა და ნაკრებში ადგილის დასაჯავშნადახლა გაორმაგებული შრომა მოუწევს. გვაქვს კიდევ ერთი კარგი ამბავი. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, ნაკრებში ვაბრუნებთ გაგა ბოლქვაძესაც. ალბათ ყველას ახსოვს ეს მოკრივე. რამდენიმე წლის წინ, მან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ნოკაუტით მოუგო ოლიმპიურ პრიზიორ ვლადიმერ ჭანტურიას. თუმცა, მერე რატომღაც საერთოდ დაიკარგა და დიდი პოტენციალის მიუხედავად, თავისი სიტყვა ვერ თქვა. ამჟამად, იგი ჩინებულ ფორმაშია და მჯერა, თავს მალე შეგვახსენებს.

**- მძიმე წონაში ახლა ბექა ლობჟანიძეა, 91 კილოგრამში კი ვაკუუში გვაქვს. ბოლქვაძის მოსვლით, ლობჟანიძე ისევ 91 კილოგრამს ხომ არ დაუბრუნდება?**

- შემადგენლობის ასეთი ვარირება გამორიცხული მართლაც არაა. თუმცა, ყველაფერი ნაკრების მთავარი მწვრთნელის ავთანდილ შოშიაშვილის გადასაწყვეტია.

**კობა ხატისაშვილი**

ᲭᲔᲩᲘᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

# ᲯᲔᲠ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲨᲘ

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ შეჯიბრების ჩატარების ორგანიზებით ჩვენში ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ის, რაც ლეჩხუმში მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მხედველობაში გვაქვს ცაგერში ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. დილის 11 საათი სრულდებოდა, როცა ცაგერის ცენტრში ქართული ჭიდაობის მუსიკის ჰანგები გაისმა. მუსიკა თანდათან გაძლიერდა თვალწარმტაც ცხენისწყლის ხეობაში, მაღალ მთაზე, ამაყად მდგარ გვესოს წმინდა გიორგის ეკლესიას მიაწყდა, იქიდან კი უკან დაბრუნდა და მთელი ლეჩხუმის მოსახლეობა სპორტულ ზეიმზე მიიწვია...

სპორტული დარბაზისკენ უწყვეტ ნაკადად დაიძრა დიდი თუ პატარა, დარბაზი ხალხს ვერ იტევდა... ქართული ჭიდაობის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე **გურამ პეტრიაშვილმა** პატაკი ჩააბარა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, ცაგერის მკვიდრ **კობა ქომეთიანს**, რის შემდეგაც მონაწილეები დალოცა და აკურთხა ლეჩხუმის არქიმანდრიტმა მამა ანტონმა. მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის კურატორი **ვალერი გიორგობიანი**, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ბინკინაშვილი**, გენერალური მდივანი **იური იმერლიშვილი** და სხვები.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა. საინტერესო და უშეღავათო ორთაბრძოლებში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, საჩხერის, ქუთაისის, ზუგდიდის, თერჯოლის, ჭიათურის, ლენტეხის, ტყიბულის, ფოთის, ზესტაფონისა და ცაგერის სპორტსმენები.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ტყიბულელმა მოჭიდავეებმა - **ირაკლი მერკვილაძემ** და **შალვა ბიბილაშვილმა**, ლენტეხელმა **ვეფხია დონღვანმა**, ქუთაისელმა **ბონდო ყუფარაძემ** და **დავით ცინცაძემ**, ცაგერელმა **გიორგი სილაგაძემ**.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველობა მოიპოვეს: **სოსო ჭოლაძემ** (60, ქუთაისი), **გიორგი სილაგაძემ** (65, ცაგერი), **ბესიკ შვანგირაძემ** (70, ქუთაისი), **შალვა ბიბილაშვილმა** (75, ტყიბული), **ირაკლი მერკვილაძემ** (80, ტყიბული), **ონისე ბუღაძემ** (90, საჩხერე), **დავით ცინცაძემ** (+90, ქუთაისი).

შეჯიბრებაზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. ცაგერის სახალხო ბანკის ფილიალმა სპეციალური პრიზი გადასცა 52 წლის ვეტერან მოჭიდავეს, ლენტეხელ **მირზა მუსელიანს**, ცაგერის პოლიციის უფროსმა **მირიან მეშველიანმა** დაჯილდოვა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე, ცაგერელი **გიორგი სილაგაძე**, ლენტეხის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა **ბერდია გუგავამ** - ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული მოჭიდავე, ლენტეხელი **ვეფხია დონღვანი**. სპორტსმენები ასევე დაჯილდოვეს ვალერი გიორგობიანმა, ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე **ომარ ჭაბუღანმა**, ლენტეხის გამგებელმა **სოსო ქურასბედიანმა** და სხვებმა. საუკეთესო მსაჯად აღიარეს თბილისელი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე **თემურ წამალაშვილი**.

წონით კატეგორიებში I-VIII ადგილზე გასული სპორტსმენები 28-30 ივნისს საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაზე, თბილისში იასპარეზებენ. დასანანია, რომ ამ ლამაზ და საინტერესო შეჯიბრებაში ვერ ვიხილეთ მესტიის, ვანის, წყალტუბოს, ონისა და სამტრედიის რაიონების წარმომადგენლები. შეჯიბრებამ გვიჩვენა თუ რა შეუძლია კოორდინირებულ, კარგად მოფიქრებულ, ორგანიზებულ და სხვადასხვა უწყების შეთანხმებულ საქმიანობას. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცაგერში პირველად ჩატარდა ამ მასშტაბის სპორტული ღონისძიება, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის ცაგერში ქართული ჭიდაობის მწვრთნელს **კობა ქომეთიანს**. მან შეძლო ლეჩხუმში ქართული ჭიდაობის აღორძინება და სულ მოკლე პერიოდში აღზარდა საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. ის სამაგალითო მწვრთნელი და აღმზრდელია.

შეჯიბრება ჩატარდა ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური სპონსორის "კასტელი-საქართველოს" დაფინანსებით, რომლის კომერციული დირექტორი და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი ჯიქია** ყველა ღონეს ხმარობს სპორტის ამ ეროვნული სახეობის აღორძინებისთვის.

**იური იმერლიშვილი**

ᲔᲠᲘᲰᲐᲐ!

# ᲭᲝᲙᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ

**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ** უცნაური, რომ ჩვენთან შეიძლება მოხდეს, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ, როგორც თანდათან ირკვევა, ამ საქმეში, თურმე, თბილისის აეროპორტს თამამად შეუძლია დაიჩემოს პირველობა. ერთ ამბავზე ამ დღეებში ვწერდით, ახლა უარესზე მოგითხრობთ. შეიძლება, ერთი შეხედვით დაუჯერებლად მოეჩვენოს მავანს, მაგრამ, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, წმინდა სიმართლეა და ამაში თავად დარწმუნდებით.

ჯერ ის ვთქვით, რომ სპორტსმენები მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ და საასპარეზო სპორტული ინვენტარიც თან დაიქვთ. ეს ბუნებრივია. თბილისის აეროპორტში კი თავიანთი კანონ-სამართალი აქვთ. მაგალითად, თავიც რომ გადადო, სპორტსმენი თავის მძლეოსნურ სახტომ ჭოკს თვითმფრინავით ვერ წაიღებს. სალონზე არაა ლაპარაკი, ბარგშიც არ იბარებენ. ამ დღეებში, ქართველი მძლეოსნები, მიუნხენის გავლით ბოსნიაში, ევროპის საკლუბო ტურნირზე მიემგზავრებოდნენ. სპორტულ დელეგაციას თბილისის აეროპორტში უარი უთხრეს მძლეოსნური ჭოკის ტრანსპორტირებაზე, არადა, მთელ მსოფლიოში ჭოკით მხტომელები უპრობლემოდ მოგზაურობენ საჰაერო ტრანსპორტით, სხვადასხვა შეჯიბრებებზე.

ამ აბსურული აკრძალვის მიზეზზე საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ ყარამან საბანაშვილს ვკითხეთ: გაბარიტები მოიმიზეზეს. როცა ავუხსენით, რომ ჭოკი დრეკადია და შეიძლება მისი მოხრით შეფუთვა, როგორც ეს ყველა აეროპორტში ხდება, ყურად არ იღეს. თუმცა მერე მოგვიბრუნდნენ და 105 დოლარი მოგვთხოვეს. რისთვის, კაცმა არ იცის. მოკლედ, თუ ფულს გადავიხდიდით, ჭოკის ტრანსპორტირება შეიძლებოდა, თუ არა და - არა! რას ვიზამდით. ჭოკი 50 დოლარი ღირს. გადავწყვიტეთ, აქ 105 დოლარის გადახდას, ეს ინვენტარი იქ, ადგილზე გვეყიდა, მაგრამ ხომ იცით რას ნიშნავს სპორტსმენისთვის შეჩვეული, მორგებული ინვენტარი"?

აი, ასეთი ამბებიც ხდება ჩვენს სანაქებო აეროპორტში...

აწ გარდაცვლილი ომარ მერებაშვილი
და დავით ხახალეიშვილი

# ᲮᲐᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ...

ᲒᲣᲨᲘᲜ ძიუდოს იმერეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები გაიმართა. მისი საჭიროება წინა პრეზიდენტის, სახელოვანი მწვრთნელის, **ომარ მერებაშვილის** გარდაცვალების გამო გახდა აუცილებელი. იმერეთის რეგიონული ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** აირჩიეს. ვიმედოვნებთ, მისი ძალისხმევა ისედაც ძლიერ იმერულ ძიუდოს სკოლას კიდევ უფრო გააძლიერებს.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲔᲠᲒᲝ

**ᲨᲕᲘᲓᲙᲐᲪᲐ ᲠᲐ�გᲑᲘ.** 7-8 ივლისს მოსკოვი შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს, სადაც 12 საუკეთესო ევროპული ნაკრები იასპარეზებს. გუნდები ორ ჯგუფად გაყვეს. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში იტალიის, ესპანეთის, უკრაინის, მოლდოვისა და ლიტვის ნაკრებებთან ერთად მოხვდა. A-ში კი საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, რუმინეთი, პოლონეთი და ანდორრა ითამაშებენ. საქართველოს ნაკრებმა ევროშვიდკაცის სერიის ორ ტურნირში მეორე ადგილები დაიკავა - ჯერ, პოლონურ სოპოტში, შემდეგ კი თბილისში. ორივეჯერ ფინალში ჩვენები ფრანგებთან დამარცხდნენ.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება შავი ზღვის ქვეყნების პირველ სპორტულ თამაშებში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. დასაწყისი 12 საათზე.**

## ჩოგბურთი

უიმბლდონი

# ჯერჯერობით, უსენსაციოდ

უიმბლდონზე უკვე ოთხმა დღემ ჩაიარა და მოულოდნელი შედეგი ჯერ არ დაფიქსირებულა. ტურნირს რამდენიმე განთესილი მეჩოგნე კი დააკლდა, მაგრამ მათგან ფავორიტობას ვერავის დააბრალებდი. კიდევ, გუშინდელმა დღემ წვიმის გარეშე ჩაიარა და ტურნირის მსვლელობაც გრაფიკში ჩაჯდა.

და, რაღა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს ბრიტანელთა "იმედის", **ტიმ ჰენმანის** მარცხი, რომელმაც მეორე ესპანური ბარიერის (**ფელისიანო ლოპესი**) გადალახვა ვერ შეძლო. მოკლედ, ჰენმანის მე-14 და ალბათ ბოლო გამოსვლა საშინაო სლემ ტურნირზე კვლავ წარუმატებლად დასრულდა.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტ ყურადღებას ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** იქცევს, ვინც მეორე წრეში არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პორტოს** სამ სეტში მოუგო. აღსანიშნავია, რომ მისი თანამემამულეებისა და ესპანურენოვანი მეჩოგნეებისგან განსხვავებით, დელ პორტო ბალახის კორტზე თამაშს ამჯობინებს, მაგრამ ეს საკმარისი სულაც არაა იმისათვის, რომ შვეიცარიელი მაესტრო დაამარცხო.

მათი შეხვედრა ტურნირის მესამე დღეს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო, თამაში გუშინღა ჩამთავრდა. რა თქმა უნდა, ფედერერი მონოდების სიმაღლეზე იყო და ბალახზე თამაშის მოყვარულ მეტოქეს თამაშის გაკვეთილი ჩაუტარა.

ჩემპიონი მესამე წრეში გავიდა, სადაც მას კერკეტი და იმავდროულად, მეტად არასტაბილური მეტოქე ეყოლება რუსი **მარატ საფინის** სახით. ეს კაცი ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, მაგრამ ბოლო სამ სეზონში, რაც ატპ-ს ტურზე ფედერერი გაბატონდა, თავი ბევრი ვერაფრით გამოუჩენია. თუმცა, ორი წლის წინათ, მან ავსტრალიის ღიაზე შეძლო შვეიცარიელი მაესტროს დამარცხება და მაშინ ტურნირის ჩემპიონიც გახდა.

მაგრამ ახლა სულ სხვა დროა. საფინი კორტზე ყოფნისას, თამაშზე არანაკლებ დროს ჩოგნებზე რისხვის გადმონთხევასა და მსაჯებთან კამათს ანდომებს. ფედერერი კი ისე თავდაჯერებულად თამაშობს, გეგონება კორტზე ადამიანი კი არა, რობოტია, რომელსაც უნივერსალური პროგრამა აქვს შეყვანილი კომპიუტერ-ტვინში.

საფინს არაერთხელ უთქვამს, რომ ბალახზე თამაში არ უყვარს, მაგრამ ორი წლის წინათ, ჰალეს ტურნირზე, მან ფედერერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მარატისგან ყოველთვის ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი და ვიმედოვნებ, მაინცდამაინც ჩემ წინააღმდეგ არ გაიგიჟებს თავსო, - იმედოვნებს ფედერერი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჰენმანმა ცენტრალური კორტი კუდამოძუებულმა დატოვა

### კაცები

#### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ხუან მარტინ დელ პორტო (არგ) 6:2, 7:5, 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტ) 6:2, 6:4, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:3, 3:6, 6:3, 7:6(4); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)**-კრის გუჩონე (ავსტრა) 3:6, 5:7, 7:6(5), 6:4, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-მიშელ ლოდრა (საფ) 7:6(4), 7:6(2), 3:6, 7:6(4); **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:4, 6:3, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:0, 7:6(5), 6:7(4), 6:2; **უეინ არტურსი (ავსტრალ)**-ტომი რობრედო (ესპ, 11) 6:3, 7:6(5), 6:3; **ტომი ჰაასი (გერ, 13)**-ტომაშ ზიბი (ჩეხ) 6:3, 7:6(5), 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 4:6, 3:6, 7:5, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორ, 15)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:4, 6:3, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:2, 6:2, 6:1; **პოლ-ანრი მატიე (საფ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 17) 6:3, 6:4, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ, 18)**-ფლორიან მაიერი (გერ) 3:6, 6:3, 7:6(2), 2:6, 6:3; **იონას ბიორკმანი (შვედ, 19)**-იუე-ცუ ვანი (ტაივ) 6:0, 6:3, 6:7(8), 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 20)**-ჟილ მიულერი (ლუქს) 6:4, 6:4, 6:7(2), 7:6(8); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21)**-მიხაელ ბერერი (გერ) 4:6, 6:4, 6:4, 6:4; **გილერმო კანიასი (არგ, 22)**-მაქს მირნი (ბელა) 6:7(4), 6:1, 7:6(4), 7:6(4); **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 23)**-ფრენკ დანცევიჩი (კან) 6:2, 6:3, 5:7, 6:3; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 24) 7:6(3), 6:4, 7:5; **მარატ საფინი (რუს, 26)**-აისამ ულჰაკ ყურეში (პაკ) 6:4, 6:2, 7:6(4); **რობინ სოდერლინგი (შვედ, 28)**-სებასტიან გროჟანი (საფ) 6:3, 3:6, 6:3, 6:2; **ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ.კორ)**-აგუსტინ კალერი (არგ, 29) 7:6(6), 6:4, 6:7(3), 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 7:6(3), 7:6(5), 3:6, 2:6, 6:1; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:4, 6:2, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ)**-კრისტოფ ფლიგენი (ბელგ) 7:5, 7:6(4), 7:6(1); **ნიკოლას კიფერი (გერ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:4, 6:3, 6:4

### ქალები

#### მეორე წრე

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:0, 6:3; **ამელი მორესმო (საფ, 4)**-ივონ მოისბურგერი (ავსტ) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5)**-ბეთანი მატეკი (აშშ) 7:6(2), 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 6)**-მეილენ ტიუ (აშშ) 6:4, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-ტატიანა პუჩეკი (ბელ) 6:2, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 7:5, 7:6(3); **ნადია პეტროვა (რუს, 11)**-სანია მირზა (ინდ) 6:2, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 12)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **აკიკო მორიგამი (იაპ)**-დინარა საფინა (რუს, 13) 6:4, 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 14)**-ნიკოლ პრატი (ავსტრა) 6:3, 6:2; **პატი შნიდერი (შვეი, 15)**-რობერტა ვინჩი (იტა) 2:6, 6:3, 6:2; **ტამირა პაშეკი (ავსტ)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 17) 6:2, 3:6, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 19)**-ნიკა ოზეგოვიჩი (ხორ) 6:1, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბელა)**-ტატიანა გარბინი (იტა, 21) 6:1, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-ჰანა შრომოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 24)**-აგნეშ შავაი (უნგ) 6:2, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:4, 3:6, 6:3; **აი სუგიამა (იაპ, 26)**-ალის კორნე (საფ) 4:6, 6:0, 6:3; **მარა სანტანჯელო (იტა, 28)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:0, 7:6(4); **არავან რეზაი (საფ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 29) 6:4, 2:6, 6:4; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 31)**-კეიტი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:0, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-მარტინა მიულერი (გერ, 32) 6:1, 4:0 მიულერი გამოეთიშა; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 7:5, 6:2

## მძლეოსნობა



ჰაილე გებრსელასი

მსოფლიო რეკორდი

# გებრე არ ცხრება

ეთიოპიელმა სტაიერმა, 10 000 მეტრზე სირბილში ორი ოლიმპიური ოქროს მფლობელმა **ჰაილე გებრსელასიემ** ჩეხეთის ქალაქ ოსტრავის ტურნირზე ასპარეზობისას მსოფლიოს ორი რეკორდი გააუმჯობესა. 34 წლის მორბენალმა ზუსტად 60 წუთში 21.285 კილომეტრი გაირბინა და გააუმჯობესა ძველი რეკორდი (21.101 კმ), რომელიც მექსიკელ **არტურო ბარიოსს** 1991 წლის 30 მარტს საფრანგეთის ლა ფლეშში დაემყარებინა.

ერთსაათიან სირბილში რეკორდს რომ ამყარებდა, გებრემ გზად 20 კილომეტრზე მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ეს ნიშნული მან 56 წუთსა და 25.98 წამში გაირბინა. სხვათა შორის, ეს რეკორდიც ბარიოსს ეკუთვნოდა, რომელსაც ის ლა ფლეშშივე დაუმყარებია.

*"სტადიონზე რომ შევედი, ქარი ქროდა, რამაც ცოტა შემაშფოთა. მაგრამ ქარი მანამ ჩადგა, სანამ გავხურდებოდი. ეს რომ მოხდა, გავიფიქრე, რომ ერთსაათიანი რეკორდის დამყარება შემეძლო. სტარტიდან ფინიშამდე არანაირი პრობლემა არ შემქმნია"*, - განაცხადა გებრსელასიემ.

ოსტრავაშივე კიდევ რამდენიმე ვარსკვლავმა იასპარეზა. მათ შორის იყო კიდევ ერთი ეთიოპიელი სტაიერი, 5 000 მეტრზე მსოფლიო რეკორდის ავტორი **მესერეტ დეფარი**. სხვათა შორის, ეს მისი პირველი გამოსვლა იყო მას შემდეგ, რაც რეკორდი დაამყარა. მაგრამ, ამჯერად, რეკორდი მისი საზრუნავი არ იყო და მანაც საშუალო დროით მოიგო ასპარეზობა.

გამარჯვება მოიპოვა რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამაც**, ვისაც მოსაგებად 4.66 მეტრზე გადებულ თამასაზე გადავლებაც ეყო. მეტი კი ვერ შეძლო და ამით თავადაც გაოცებული და განბილებული დარჩა. არადა, თავისივე მსოფლიო რეკორდის (5.01 მეტრი) გაუმჯობესება სცადა. ხელი რომ მოეცარა, გაოცებულმა განაცხადა, ვერ გეტყვით, რა იყო იმის მიზეზი, რომ ასე უხეიროდ ვხტებოდიო.

და ისევ გებრეს შესახებ. ეს სახელოვანი მორბენალი ერთხანს სარბენ ბილიკებზე აღარ ასპარეზობდა - მხოლოდ მარათონებზე გამოდიოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ სტადიონს დაუბრუნდა. ათენის ოლიმპიადამდე მის ანგარიშზე მსოფლიოს 17 რეკორდი იყო, რომლებსაც სამი რეკორდი საგზაო გარბენებში დაუმატა, ახლა კი ისევ სარბენ ბილიკზე, ერთბაშად ორი რეკორდი გააუმჯობესა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 29 ივნისი, პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-კოლუმბია.
14:15 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-აშშ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ლიონი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-კოლუმბია.
22:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-აშშ.
23:45 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:45 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბეტისი.
09:15 სპორტინფორმი.
09:25 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
11:10 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-დინამო (ჰიუსტონი).
12:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბეტისი.
14:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
15:06 მინი-მოედანი.
15:33 ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
17:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
19:30 სპორტინფორმი.
19:35 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დი სი იუნაიტედი.
21:20 სპორტული ისტორია.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
23:30 სპორტინფორმი.
23:45 კრივი. რინგ-საიდი.
00:45 სპორტინფორმი.
01:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ინდონეზია.
03:30 ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
05:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი.
13:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
18:00 სნუკერი.
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
21:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ბელგია (LIVE).
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. პოლონეთის გრან-პრი.
00:00 რესტლინგი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონი. გერმანია.
02:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. კვალიფიკაცია.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 რალი. ახალი სერია. ბელგია.
12:30 მულტისპორტი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
14:00 ახალი ამბები.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ნორვეგია-შვეიცარია. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
16:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. უნგრეთი-ინგლისი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
18:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ისრაელი-რუსეთი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ULEB-ის ყველა ვარსკვლავი-მაკაბი. იტალია (LIVE).
20:45 ექსტრემალური სპორტი.
21:15 მულტისპორტი.
21:45 სერფინგი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 რაგბი. IRB. ერთა თასი. ბუქარესტი. რუმინეთი.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ბენეტონი-ოლიმპია. იტალია (LIVE).
01:15 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ჟალგირისი-ULEB-ის ყველა ვარსკვლავი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი.
03:00 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **კოპა ამერიკა** | |
| კოლუმბია-პარაგვაი | 0:5 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ბრინი-ლინი | 1:2 |
| ლილესტრიომი-ბორუმი | 4:0 |
| საჟიდი-რუსენბორგი | დ.დ. 0:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბუნქეფლო-სირიუსი | 3:1 |
| ფალკენბერგსი-ლიუნგსკილე | 3:2 |
| პაქენი-მიალბიუ | 1:0 |
| ოსტერსი-აბვიდაბერგი | 0:3 |
| სუნდსვალი-იონჩოპინგსი | 4:0 |
| სილვია-ენჩოპინგსი | 1:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| ჰელსინგბორგი-ლანდსკრონა | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-ოულუ | 2:0 |
| ინტერი-ჰიკ | 1:1 |
| ვაასა-კტპ | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| რეიკიავიკი-ფრამი | 2:1 |

## ველოსპორტი

დოპინგი

# პეტაკი დროებით გაირიცხა

გერმანულ-იტალიურ გუნდ "მილრამის" ხელმძღვანელობამ, დროებით თავისი წევრობა შეუჩერა სახელოვან იტალიელ სპრინტერ **ალესანდრო პეტაკის**, ვინც ჯიროს დროს აკრძალულ პრეპარატ სალბუტამოლის გამოყენებაშია ეჭვმიტანილი.

პეტაკის გარდა, აღნიშნული წამლის კვალი კიდევ ერთი იტალიელის, **ლეონარდო პიეპოლის** სინჯშიც აღმოჩნდა. ორივე თავს იმით იმართლებს, რომ აღნიშნულ წამალს ასთმის სამკურნალოდ იყენებს. ამ შემთხვევისთვის, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს აქვს წესი, რომელიც სპორტსმენებისგან თავიანთი ავადმყოფობის შესახებ, წინასწარ შეტყობინებას მოითხოვს.

33 წლის პეტაკის, ვინც წლევანდელი ჯიროს ხუთი ეტაპი მოიგო, ახლა თავის მართლება იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო კომისიის წინაშე მოუწევს. თუ თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს, "მილრამს" ჩემპიონს აღდგენს და ტურ დე ფრანსზე გამოსვლის ნებას მისცემენ. თუ არა, მაშინ დისკვალიფიკაცია ელის.

სხვათა შორის, გამოძიებისთვის ჩვენების მიცემა მოუწევს ჯიროს ახალ ჩემპიონ **დანილო დი ლუკასაც**, ოღონდ, გამოძიებას მისი პასუხები სხვა საქმესთან დაკავშირებულ კითხვებზე აინტერესებს. საქმე ისაა, რომ დი ლუკა ექიმ **კარლო სანტუჩონესთან** ურთიერთობაშია შემჩნეული. ამ ექიმს კი იტალიის სპორტის სამყაროში სახელი აქვს გაფუჭებული, როგორც აკრძალული პრეპარატებით სპორტსმენთა მომმარაგებელს. ცნობისთვის, იტალიის პოლიცია სანტუჩონეს საქმეს 2003 წლის შემდეგ იძიებს.

და კიდევ, დი ლუკა სხვა საქმეშიცაა გარეული. კერძოდ, წლევანდელი ჯიროს დროს, დოპინგშემოწმებამ რამდენიმე ველომრბოლის სინჯში ჰორმონების არანორმალურად დაბალი დონე დააფიქსირა. წარმოიქმნა ეჭვი იმისა, რომ აღნიშნული სპორტსმენები შემთხვევით საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ აკრძალული პრეპარატების გამოყენების კვალი დაფარონ. ჰოდა, ამ სპორტსმენთა შორის, დი ლუკაც არის მოხსენიებული...

**მერაბ ლორთქიფანიძე**



დანილო დი ლუკა

კალათბურთი

## უდრიხს სამი გუნდი ეპატიჟება

"სან ანტონიო სპურსისა" და სლოვენიის ნაკრების გამთამაშებელი **ბენო უდრიხი** მომავალ სეზონში აღარ იქნება მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში. ამის შესახებ ინფორმაცია TNT-მ გაავრცელა.

25 წლის გამთამაშებლისთვის ყველაზე რეალური ვარიანტი "ფინიქს სანზში" გადასვლაა, სადაც იგი **სტივ ნეშის** შემცვლელი იქნება. თუ ბენო არიზონაში წავა, ტეხასელები მას **ბრენტ ბერისაც** დაამატებენ, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდში კი ბებერი ფორვარდ-ცენტრი **კურტ ტომასი** გადავა. გაცვლა ორივე გუნდისთვის მომგებიანი უნდა იყოს.

ბენო უდრიხი შარშანდელ რეგულარულში ერთ მატჩში საშუალოდ 4.7 ქულასა და 1.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, მისი გადაბირების სურვილი თელ ავივის "მაკაბისა" და ესპანურ "ტაუგრესსაც" აქვთ.

## მასპინძლების არჩევანი

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეპუ ერნანდესმა** იმ 15 კალათბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებიც მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას.

გაფართოებულ შემადგენლობაში შევიდნენ: ფორვარდები - **გარბახოსა** ("ტორონტო", NBA), **ხიმენესი, როდრიგესი** (ორივე - "უნიკახა"), **მუმბრუ** ("რეალი"), **ტრიასი** ("ბარსელონა"), **კლიავერი** ("პამესა"); ცენტრები - **პ. გასოლი** ("მემფისი", NBA), **მ. გასოლი** ("ხირონა"), **ფ. რეიესი** ("რეალი"); მცველები - **კაბესასი** ("უნიკახა"), **კალდერონი** ("ტორონტო", NBA), **როდრიგესი** ("პორტლენდი", NBA), **რ. ფერნანდესი** ("ხუვენტუდი"), **ნავარო** ("ბარსელონა"), **მ. ფერნანდესი** ("გრან კანარია").

## სერბებს რაკოჩევიჩიც დააკლდათ

ევროპის ჩემპიონატის წინ, მორიგი დანაკლისი განიცადა სერბეთის ნაკრებმა. ტრავმის გამო, ესპანეთში გასასმართ ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს "ტაუგრესის" მცველი **იგორ რაკოჩევიჩი** (191 სმ).

შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი წლევანდელი ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ის საშუალოდ ერთ მატჩში 16.2 ქულას აგროვებდა.

## მაციაუსკასის რთული არჩევანი

ამასობაში, **არვიდას მაციაუსკასმა** დღეს უნდა გადაწყვეტოს, ითამაშებს თუ არა ის ევროპის ჩემპიონატზე ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში.

შეგახსენებთ, რომ მაციაუსკასს შარშანდელ სეზონში "ოლიმპიაკოსში" უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმის გამო, თითქმის მთელი წელიწადი გაუცდა. ბერძნული კლუბის ხელმძღვანელებს ტრავმის გამიზეზების ეშინიათ და ლიტველს თხოვენ, თავი შეიკავოს ევროპის ჩემპიონატში თამაშზე.

## მილანს ახალი მწვრთნელი ჰყავს

სერია A-ს კლუბმა "მილანმა" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერბი **ალექსანდრ ჯორჯევიჩის** შემცვლელი იპოვნა.

Legabasket-ის ინფორმაციით, მომავალი ორი წლის განმავლობაში იტალიური კლუბის დამრიგებელი, მაკედონიელი სპეციალისტი **ზარე მარკოვსკი** იქნება. ეს უკანასკნელი ბოლო ორი სეზონი ბოლონიის "ვირტუსს" ავარჯიშებდა.

## ესტუდიანტესმა ევროპაზე უარი განაცხადა

გაზეთი "მარკა" იტყობინება, რომ მომავალ სეზონში ULEB-ის თასის მონაწილეებს შორის არ იქნება ესპანური "ესტუდიანტესი".

კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გააგზავნა ULEB-ის შტაბ-ბინაში შესაბამისი შეტყობინება. "ესტუდიანტესის" შეფობამ თავისი უარი რთული ფინანსური პირობებით დააასაბუთა.

## ბოიკინსი მილუოკის ტოვებს

წარუმატებლად დასრულდა "მილუოკი ბაქსსა" და ამ კლუბის გამთამაშებელ **ირლ ბოიკინსს** შორის მოლაპარაკებები, რომელიც კონტრაქტის გაგრძელებას შეეხებოდა. შესაბამისად, 31 წლის მცველი თავისუფალი აგენტი გახდა.

შარშანდელი სეზონის მეორე ნაწილში, ბოიკინსი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა "მილუოკის" რიგებში. საუკეთესო სნაიპერის, **მაიკლ რედის** ტრავმის გამო, სწორედ ბოიკინსი იქცა "ბაქსის" ლიდერად.

პოკერი

## მესიეს დიდების დარბაზში მიიღებენ

დღეს, ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზში ოთხ ახალ ჰოკეისტს მიიღებენ.

პრეტენდენტთა სიას სათავეში ლეგენდარული **მარკ მესიე** უდგას, რომლის არჩევაშიც ეჭვი არავის ეპარება. 25-წლიანი კარიერის განმავლობაში, ეს ფორვარდი ექვსჯერ გახდა სტენლის თასის მფლობელი, ხოლო დაგროვილი ქულების მიხედვით, ის ბომბარდირთა ყველა დროის სიაში მხოლოდ **უეინ გრეცკის** ჩამორჩება.

მესიეს გარდა, დიდების დარბაზში მოხვედრაზე პრეტენზიას **იგორ ლარიონოვი, რონ ფრენსისი, სკოტ სტივენი, ადამ ოუტსი, კლოდ ლემიე** და **ელ მაკინისი** აცხადებენ.

## სენტ ლუისი კაპიტანს უშვებს

"სენტ ლუის ბლუზმა" თავის კაპიტანთან, **დალას დრეიკთან** გამოთხოვება გადაწყვიტა და ეს ჰოკეისტი ტრანსფერზე დააყენა. დრეიკს "ბლუზმენების" რიგებში ექვსი სეზონი აქვს გატარებული. თუ ფორვარდი ახალ კლუბს ვერ იპოვნის, მაშინ "სენტ ლუისი" მის კონტრაქტს გამოისყიდის.

კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ლარი პლომ** ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ აუცილებელია სახელფასო ბიუჯეტში ახალბედებისთვის საჭირო თანხის გამონთავისუფლება.

ჩოგბურთი

## უილიამსები ფედერაციის თასზე იქნებიან

14-15 ივლისს, ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. დიდ ინტერესს იწვევს ამერიკისა და რუსეთის ნაკრებების დაპირისპირება, რომელიც ვერმონტის შტატის ქალაქ სტოუიში გაიმართება.

ამერიკელები უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან სტუმრებს. გუნდის კაპიტნის **ზინა ჰარისონის** განცხადებით, აშშ-ის რიგებში თამაშზე თანხმობა განაცხადეს **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა**.

ამ მატჩზე დასასწრები ბილეთები უკვე გაყიდულია. ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა მაყურებელთა ინტერესები და სტოუის საჩოგბურთო სტადიონზე დამატებითი სკამები დაამონტაჟა, რის შემდეგაც არენის ტევადობა 3-დან 4.1 ათას მაყურებლამდე გაიზარდა.

ამარე სტაუდმაიერი

NBA. ატლანტა ჰოქსი

# ნახევარი გუნდი ამარეში

"ატლანტა ჰოქსის" წარმომადგენლის თქმით, გაცვლა, რომლის შედეგადაც ჯორჯიაში "ინდიანის" ფორვარდი **ჯერმეინ ონილი** უნდა გადასულიყო ჩაიშალა, რისი მიზეზიც ინდიანაპოლისელთა ბოსის, **ლარი ბერდის** უარი ყოფილა.

ერთი ჩაიშალა და მეორე გაცილებით რეალურიაო - ამბობს ინკოგნიტო ინფორმატორი, CNN-თან საუბარში.

ადრეც დავწერეთ იმის შესახებ, რომ "ჰოქსი" დიდად არ ყოფილა დაინტერესებული წლევანდელი დრაფტით, რადგან არჩევის მხოლოდ მესამე ნომერი ერგო და შესაბამისად, გუნდში **გრეგ ოდენისა ან კევინ დიურანის** გადასვლა ამთავითვე გამორიცხა.

მზადდება სერიოზული გაცვლა "ფინიქსთან", რომელიც ჩვენთვის ორმაგად საინტერესო უნდა იყოს, რადგან მასში ერთ-ერთ მონაწილედ საქართველოს ნაკრების ლიდერი **ზაზა ფაჩულიაცაა** მოხსენიებული.

"ატლანტა" "ფინიქსს" ფაჩულიას, დამდეგი დრაფტის პირველი წრის (მე-3 და მე-11 ნომრები) ორივე მოთამაშის არჩევის უფლებასა და უკანახაზელ **ენტონი ჯონსონს** "ფინიქსს" მისცემს, ხოლო აღმოსავლეთის აუტსაიდერში კი თვით ამარე სტაუდმაიერი გადავა.

ამ ინტერვიუდან ერთ საათში მასმედიელებმა კვლავ "ჰოქსის" ოფისში დარეკეს და ამჯერად გუნდის კიდევ ერთ წარმომადგენელს, **არტურ ტრიჩეს** ესაუბრნენ.

*"ჩვენთვის ფაჩულია ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა და გუნდის ხელმძღვანელები ენტონი ჯონსონზეც გარკვეულ იმედებს ამყარებენ, მაგრამ ამ გაცვლით გუნდი კონფერენციის ელიტაში შევა და შეიძლება, ერთ-ერთ ფავორიტადაც იქცეს. დრაფტის წლევანდელი პროცედურა კი გუნდისთვის ინტერესს კარგავს, რადგან სასურველი მოთამაშის აყვანას მაინც ვერ შევძლებთ", -* განაცხადა სატელეფონო საუბარში ტრიჩემ.

სააგენტოები "ჰოქსთან" დაკავშირებით კიდევ ერთ სიახლეს გვამცნობენ - თითქმის გადაწყვეტილია, რომ "სუპერსონიქსის" ფლეიმეიქერი **ლიუკ რიდნური** მომავალი სეზონიდან "ატლანტაში" იქნება, სანაცვლოდ კი, "სიეტლი" **ტაირონ ლიუსა** და 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

კიდევ ერთი ინფორმაციის თანახმად, "ჰოქსის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** თანახმაა, დათმოს ფაჩულია და ჯონსონი (ცხადია, მხოლოდ სტაუდმაიერის სანაცვლოდ), მაგრამ შეინარჩუნოს ლიუ. ჯორჯიელთა თავკაცს დიდად არ ანაღვლებს, თუ ვის აიყვანს მისი გუნდი დრაფტზე, რადგან "ატლანტა" ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშეების ნაკლებობას (გუნდში ფაჩულიას გარდა **ჯოშ სმიტი, მერვინ უილიამსი, ჯოშ ჩილდრესი, შელდენ უილიამსი** და "ფინიქსიდან" გადმოყვანილი **ჯო ჯონსონი** ირიცხებიან) ისედაც არ განიცდის.

**ზურაბ თალაკვაძე**



NHL დეტროიტ რედ უინგზი

# ჰაშეკი რჩება

"დეტროიტ რედ უინგზმა" **დომინიკ ჰაშეკთან** ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა, რომლის მიხედვითაც, 42 წლის ჩეხი გოლკიპერი დეტროიტულ კლუბში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს.

წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ, "დომინატორი" თავისუფალი აგენტი გახდა და მას NHL-ის ნებისმიერ კლუბში შეეძლო გადასვლა, მაგრამ ჩეხმა თავიდანვე განაცხადა, რომ სწორედ "დეტროიტში" სურს კარიერის დასრულება. იგივე სურვილი კლუბის ხელმძღვანელობამაც გამოთქვა. მიუხედავად ჩეხი ჰოკეისტის სოლიდური ასაკისა, ჰაშეკი კვლავაც "რედ უინგზის" ძირითად გოლკიპერად მოიაზრება. მოლაპარაკებებისას, მთავარი გასარკვევი საკითხი კონტრაქტის ფინანსური მხარე უნდა ყოფილიყო.

2006-07 წლების სეზონის წინ "დეტროიტში" დაბრუნებულმა ჰაშეკმა, კონტრაქტით 750 ათასი და კიდევ ბონუსების სახით 900 ათასი დოლარი გამოიმუშავა. "რედ უინგზის" გენერალური მენეჯერის **კენ ჰოლანდის** სიტყვებით, მხარეებს ფინანსურ დეტალებზე ჯერ არ უსაუბრიათ, მაგრამ ამ საკითხში გართულებები არ უნდა წარმოიშვას. სააგენტო "როიტერი" სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ გაისად, ჩეხი ვეტერანი 2.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, ხოლო თუ "დეტროიტი" ფლეი ოფში გავა, მაშინ ბონუსის სახით დამატებით ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

ახალი კონტრაქტი ამ კვირის ბოლოს გაფორმდება.

დომინიკ ჰაშეკი


ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კოტა ხატისაშვილი**
**გესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა გიგილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრაქელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი**

კორექტორა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან გიგილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე), **გივი ვეფაპიძე, ქეთევან დიდგერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**გაბარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ გასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართები
**მ. კოსტავას 14,**
**0108 თბილისი**
**ტელეფონი:** 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
**ახმეტელის 10ᵃ,**
**0159 თბილისი**
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ფაქსი:** +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**